ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 ივნისი 2002 №107 (1629) ფასი 50 თეთრი


# ეს არ იყო ტანგო! ეს არ იყო არგენტინა!









# მენოტიმ ბიელსა გაასამართლა



არგენტინული ფეხბურთი ჰგავს ტანგოს, რომლის მთავარი თვისება დაუძაბავობაა. ამ დაუძაბავობას წესრიგს თუ შემატებ – გაიმარჯვებ. ბიელსას არგენტინა არ იყო ტანგო, ის ზედმეტად დაძაბული იყო. მხოლოდ წესრიგით კი ევროპას ვერას დააკლებ.



არგენტინის დამაქცევარი ანდერს სვენსონი

პარაგვაი სლოვენიასთან მარცხდებოდა და ესპანეთთან მოთამაშე სამხრეთაფრიკელებს თავი ქუდში ეგონათ, ბოლოს კი ჩეზარე მალდინის ბიჭებმა ისეთი ამბები დაატრიალეს, ვინძლო, თავი ჯერაც სიზმარში, აფრიკელებს კი მერვედფინალში ჰგონიათ.

პარაგვაი — სლოვენიის მატჩში გავიდა მუნდიალის მეასე გოლიც, თან ისეთი მეკარე ისეთნაირად შეცდა, ერთხელაც რომ იტყვი — ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არაფერი უნდა გაგიკვირდეს: პარაგვაელთა მეკარე-კაპიტანმა და ქარიზმატულმა ლიდერმა ხოსე ლუის ჩილავერტმა სახლში აბარგებული მილენკო აჩიმოვიჩისაგან ასალები გაუშვა.



ამ სიბერეში და პარაგვაელების ხელში ჩეზარე მალდინიმაც გაიხარა

## მერვედფინალი

15 ივნისი

**გერმანია — პარაგვაი**

**ინგლისი — დანია**

16 ივნისი

**შვედეთი — სენეგალი**

**ესპანეთი — ირლანდია**

დანარჩენი ოთხი მერვედფინალური წყვილი დღეს და ხვალ გაირკვევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002 B ჯგუფი. III ტური

# №39 ს.აფრიკა 2:3 ესპანეთი

12 ივნისი. დეაჯონი (კორეა). 16.30 „დეაჯონ უორლდ კაფ სთადიუმ". 31 024 მაყურებელი

0:1 რაული (4), 1:1 მაკკარტი (31), 1:2 მენდიეტა (45), 2:2 რადებე (53), 2:3 რაული (56)




შეცვლა: ალბელდა – 18. სერხიო (52), ნომვეტე – 23. კუმანტარაკისი (74), მორიენტესი – 12. ლუკე (77), რადებე – 22. მოლეფე (80), რაული – 21. ლუის ენრიკე (82), ფორჩუნი – 5. ლეკხეტო (83)

გაფრთხილება: ნზამა (16), კარნელი (67), ნომვეტე (69), ა. მოკოენა (81)

მსაჯები: საად მანე (ქუვეითი);
ხორხე რატალინო (არგენტინა), ავნი ჰასუნეჰი (იორდანია)

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 7 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 3 | კარში დარტყმა | 8 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

# აფრიკელების ოფლი კამაჩომ მოიდინა

**გიორგი დარჯანია**

**თავიდანვე შევთანხმდეთ:** იმაზე ბჭობა, ასეთნაირად მოთამაშე სამხრეთ აფრიკაზე მეტად მისი დამმარცხებელი საქართველოს ნაკრები იმსახურებდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსო, სწორი არ უნდა იყოს. ერთი, რომ საქართველომ 4:1 აფრიკელთა გვარიანად განსხვავებულ შემადგენლობას მოუგო, მეორე, რომ მაშინ ჩვენს მეტოქეს ორი ფეხბურთელი გაუძევეს და საერთოდაც, მსჯელობა იმაზე — რა მოხდებოდა, რომ... მართებული არ არის.

თუმცა ამას სამხრეთაფრიკელთა გასამართლებლად არ მოგახსენებთ. ძნელი წარმოსადგენიც კი იყო, მუნდიალზე, თან მერვედფინალთან ახლოს მყოფ გუნდს ასე უჯიგროდ თამაში თუ შეეძლო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, აფრიკელები ოღონდ პარაგვაელთა კისრის წატეხვის იმედად იყვნენ.

ბოლო ტურისწინა ვითარება გავიხსენოთ: ესპანეთი უკვე მერვედფინალში იყო და საფიქრალი მხოლოდ ის ჰქონდა, რომელი ადგილი აერჩია იმის მიხედვით, პლეი ოფში გერმანიასთან დაჯახება ერჩივნა თუ ირლანდიასთან. მაგრამ ასეა თუ ისე, მარად ოფლიან კამაჩოს თავი მაინც ქუდში ჰქონდა, აი, აფრიკელთათვის კი ეს მატჩი მართლაც დიდი მნიშვნელობისა იყო და კაცმა რომ თქვას, შეუძლებელიც არაფერი მოეთხოვებოდათ — ფაქტობრივად უმოტივაციო მეტოქესთან ფრეც ჰყოფნიდათ. და რა ვნახეთ? ხუთი გოლი, რომელთა გატანასაც ოფლის ღვრა არ დასჭირვებია.

მატჩი დაიწყო და გოლიც გავიდა. სახიფათო მომენტი არც ყოფილა, ანდრე არენდსეს ბურთი იოლად უნდა აელო, მაგრამ ხელში ვერ შეიმაგრა, რაულმა აართვა და ცარიელ კარში შეაგორა. ასეთ გოლებს თბილისელი ბავშვები სხვა ადგილით იტანენ.

და რა? არაფერი, აფრიკელებს ტემპი ოდნავაც არ მოუმატებიათ, პირიქით, გაისკა მენდიეტას სახიფათოდ დაარტყმევინეს და მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. და ეს მაშინ როცა თავად ესპანელებიც არ იკლავდნენ სირბილით თავს, აშკარა იყო, რომ ისინი ძალას სამერვედფინალოდ ზოგავდნენ და თან ტრავმებსა და გაფრთხილებას ერიდებოდნენ.

მენდიეტა ვახსენეთ და ესპანურ ცვლილებებზეც ვთქვათ. წინა მატჩისგან განსხვავებით კამაჩომ სასტარტო შემადგენლობაში რვა ფეხბურთელი — თითქმის მთელი გუნდი — შეცვალა, ძველებიდან მხოლოდ იკერ კასილიასი, მიგელ ანხელ ნადალი და რაული (ბოლოს ისიც შეცვალეს) იყვნენ. აქედანაც კარგად ჩანს, ესპანელთა დამოკიდებულება ამ შეხვედრისადმი.

სამხრეთაფრიკელთა პირველი საპასუხო გოლი ესპანელ მცველთა გულგრილობას მოჰყვა. სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ბენი მაკკარტიმ სიაბონგა ნომვეტეს ჩაწოდებული მიიღო და კასილიასს დასწრებაზე გაუტანა. სხვა ვითარებაში საეჭვოა, ესპანელებს ასე უყურადღებოდ ეთამაშათ.

საპასუხო გოლმა იომო სონოს ბიჭები ადრინდელზე მეტად დაამშვიდა — პარალელურად მიმდინარე მატჩში პარაგვაელებს უკვე სამი უპასუხო გოლის გატანა სჭირდებოდათ, თან ამ დროისთვის კაცნაკლულნიც იყვნენ. შედეგად, ისევ უნიათო ბურთაობა გაგრძელდა, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს მენდიეტას გოლი სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა — „ლაციოს" ბასკმა უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

მსაჯმა შესვენების ნიშნად ჩასტვინა, გასახდელისკენ მიმავალმა აფრიკელებმა კი გზად სლოვენიელთა გატანილი გოლის ამბავი შეიტყვეს და... ისევ დამშვიდდნენ.

თამაშის განახლებიდან ათ წუთში აფრიკელებმა კვლავ გაათანაბრეს. ეს ლუკას რადებემ მოახერხა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ენრიკე რომერომ თავი გაუხახუნა და ლიდსელმა თავითვე ძელთან ახლოს ჩააჭედა.

აქ ეჭვიან მაყურებელს შეეძლო ეფიქრა, რომ გუნდები ფრეზე, ორივესთვის სასურველ შედეგზე იყვნენ გარიგებულნი. ეს ეჭვი საეჭვოდ მოსჩანს, რადგან როცა ფრე ორივე გუნდს აწყობს, ბუნებრივად გამოდის ისე, რომ მოსაგებად დაგეშილი არავინაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეტოქეს კარგ შანსს თუ უბოძებ, რატომაც არ გამოიყენებს. ასეც მოხდა, რადებეს გოლიდან სამ წუთში რაულმა მეურვეს, სხვათა შორის, ლუკას რადებეს დაასწრო და თავისიანები კვლავ წინ გაიყვანა.

ერთი და იმავეს გამეორება მოსაბეზრებელია, მაგრამ ისევ ვთქვათ, რომ აფრიკელები არც ამ გოლს აუღელვებია, ყოველ შემთხვევაში, აღელვება და ჯგუფში ჩარჩენის შიში მათ გააქტიურებაში არ ასახულა.

შემდეგ კი აი, რა მოხდა:

სეუგვიპოში პარაგვაიმ გაათანაბრა — სამხრეთ აფრიკა არ აღელვებულა;

პარაგვაიმ მეორე გოლი გაიტანა — სამხრეთ აფრიკა არ აღელვებულა;

პარაგვაიმ მესამე, ჯგუფიდან გამსვლელი გოლი გაიტანა — სამხრეთ აფრიკა მაინც არ აღელვებულა.

ვინძლო, სამხრეთაფრიკელები ახლაც აუღელვებლად სხედან სამშობლოსკენ მიმავალ თვითმფრინავში.

ერთი კითხვა კი მოსვენებას არ მაძლევს: რატომ იყო ტრიბუნებზე გადმოფენილი ამდენი პოლონური დროშა?


რაულმა ანდრე არენდსეს ბავშვური შეცდომა არ აპატია


პირველი საპასუხო გოლისას იკერ კასილიასმა ბენი მაკკარტის დროულად ვერ დაუფარა

## მატჩის შემდეგ

**იომო სონო**
*სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი*

სამმა უაზრო, არგასაშვებმა გოლმა ჯგუფში ჩაგვტოვა, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. არადა, მუნდიალის სამ მატჩში მთლიანობაში ძალიან კარგად ვითამაშეთ და ერთი მარცხის გამო შეჯიბრს გამოვემშვიდობეთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გუნდთან დავმარცხდით.

სამომავლო გეგმებზე ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. შინ დავბრუნდებით და მშვიდ ატმოსფეროში გადავწყვეტთ, დავრჩები თუ არა ნაკრების სათავეში.

**ხოსე ანტონიო კამაჩო**
*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი*

სამივე თამაში მოვიგეთ და ამით შეუძლებელია, კმაყოფილი არ ვიყო, თან ცხრა გოლიც გავიტანეთ რაც ასევე ძალიან კარგი შედეგია. თუმცა ბრძოლა ახლაღა იწყება. ჯგუფში კიდევ გვქონდა ქულების დაკარგვის უფლება, ახლა კი „უცარი სიკვდილის" ეტაპზე შეცდომის უფლება არ გვაქვს.

ირლანდიას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, მათ ხომ ჯგუფში თამაში არ წაუგიათ. ვფიქრობ, კარგი სანახაობა იქნება.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ხოაკინმა ფერნანდო მორიენტესს ჩააწოდა, რომლის თავურიც მეკარემ მოიგერია.

**მე-4 წუთი:** გაისკა მენდიეტამ რაულს არაზუსტი პასი მისცა, მეკარემ დაასწრო, მაგრამ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, რაულმაც აართვა და ცარიელ კარში შეაგორა.

**მე-13 წუთი:** ხოაკინმა გაისკა მენდიეტას ჩააწოდა, რომლის დარტყმულსაც მცველი გადაეფარა.

**მე-19 წუთი:** მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილ ფერნანდო მორიენტესს მცველმა ბოლოწამს ვარდნაში აწაპნა ბურთი.

**21-ე წუთი:** სიბუსისო ზუმას დარტყმული იკერ კასილიასმა კუთხურზე მოიგერია.

**22-ე წუთი:** ხოაკინმა კარგი პასი მისცა რაულს, რომელსაც მეკარემ დაასწრო.

**31-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი სიაბონგა ნომვეტემ თავით ბენი მაკკარტის დაუგდო, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია.

**45-ე წუთი:** გაისკა მენდიეტამ საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა.

**53-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ლუკას რადებეს შედეგიანი თავური მოჰყვა — 2:2.

**56-ე წუთი:** ხოაკინმა რაულს თავზე დაასვა ბურთი და ესპანელები კვლავ დაწინაურდნენ.

**63-ე წუთი:** გაისკა მენდიეტას თავური კარს ასცდა.

**66-ე წუთი:** რაულის დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**67-ე წუთი:** ბენი მაკკარტიმ კარს ააცილა.

**78-ე წუთი:** რაულმა იდეალური პასი მისცა ალბერტო ლუკეს, რომელმაც ვერ იხეირა.

**83-ე წუთი:** ლუის ენრიკემ ხუთი მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

# კორეა-იაპონია 2002
## B ჯგუფი. III ტური
# №40 სლოვენია 1:3 პარაგვაი

12 ივნისი, სეოგვიპო (კორეა). 16.30 „სეოგვიპო უორლდ კაპ სთედიუმ". 30 136 მაყურებელი

1:0 აჩიმოვიჩი (45), 1:1 კუევასი (66), 1:2 კამპოსი (73), 1:3 კუევასი (84)

NZS

12 დაბანოვიჩი

მწვრთნელი დანილო პოპივოდა (თანაშემწე)

23 ბულაიჩი, 3 მილინოვიჩი, 19 კარიჩი

8 ა. ჩეჰი

7 ნოვაკი, 15 ტავკარი

18 აჩიმოვიჩი, 11 პავლინი

21 ციმეროტიჩი, 9 ოსტერცი

9 სანტა კრუზი, 20 ხ. კარდოზო

13 პარედესი, 10 აკუნია, 8 ალვარენგა

21 კანისა, 2 არსე

4 გამარა, 5 ს. აიალა, 18 კასერესი

მწვრთნელი ჩეზარე მალდინი

1 ჩილავერტი

LIGA PARAGUAYA DE FUTBOL

შეცვლა: პავლინი – 13. რუდონია (40), ალვარენგა – 11. ხორხე კამპოსი (54), კარდოზო – 23. კუევასი (61), აჩიმოვიჩი – 20. ნ. ჩეჰი (63), ოსტერცი – 16. ტიკანი (78), კუევასი – 17. ფრანკო (90)

გაფრთხილება: პარედესი (4), პავლინი (16), პარედესი (22), კარიჩი (68), რუდონია (69), მილინოვიჩი (79)

გაძევება: პარედესი (22), ნ. ჩეჰი (81)

მსაჯები: ფელიპე რამოს რიზო (მექსიკა); ლეიფ ლინდბერგი (შვედეთი), ვისვა კრიშნანი (სინგაპური)

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 14 |
| 1 | კუთხური | 9 |
| 18 | კარისკენ დარტყმა | 20 |
| 13 | კარში დარტყმა | 11 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

# აი, კუევასი... ჩილავერტს მართივობამ გაუმართლა

სოლომონ გულისაშვილი

**პარაგვაელებს** სასწაულის სჯეროდათ და სასწაული მოხდა. მათ იტალიელ მწვრთნელ ჩეზარე მალდინის ხოსე კარდოზოსი და როკე სანტა კრუზის ეიმედებოდა, გმირები კი შეცვლაზე შესული ფეხბურთელები გახდნენ, თუმცა ეს ცვლილებებიც ხომ მალდინის მოფიქრებული იყო.

ნელსონ კუევასმა, არგენტინული „რივერ პლეიტის" 22 წლის ფორვარდმა, ვინც მუნდიალზე სათადარიგოდ წაეყვანათ, თავისი ჯადოსნური ცაციათი მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოება მოხიბლა, სწორედ ეს შავ-შავი ბიჭი გახდა კუნძულ ჩეჯუზე გამართული დრამატული ბრძოლის მთავარი გმირი. მისი ორი გოლი სრულიად პარაგვაის კიდევ დიდხანს ეხსომება.

პარაგვაელთა მეკარე-კაპიტანი ხოსე ლუის ჩილავერტი ამბობდა: ყველაფერი ძალიან მარტივად არის, ესპანეთი სამხრეთ აფრიკას მოუგებს, ჩვენ კი სლოვენიას და მერვედფინალში გავალთო. უამრავი ვარიანტი არსებობდა, რომელთა მიხედვითაც პარაგვაის პლეიოფში მოხვედრა ერთობ საეჭვო ჩანდა, მაგრამ ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ჩილავერტის სიტყვები გამართლდა. სამხრეთამერიკელებს სულ მცირე ორბურთიანი სხვაობით გამარჯვება სჭირდებოდათ და ამოცანას თავი გაართვეს, თუმცა ქარიზმა-ლიდერმა „ტრადიციას" არ უღალატა, ესპანელებთან წინა შეხვედრის არ იყოს, უცნაური და უმარტივესი გოლი გაუშვა და რომ არა კუევასი...

პირველი ტაიმის წამატებულ წუთზე მილენკო აჩიმოვიჩი მარჯვენა ფრთაზე ორ მცველს გასცდა, უფრო კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ დაჩოქილ ჩილავერტს ბურთი ფეხებში გაუძვრა და ბადეში აღმოჩნდა. ეს გოლი ამ ჩემპიონატზე მე-100 გამოდგა.

ამ დროისთვის პარაგვაი რიცხობრივ უმცირესობაშიც დარჩენილიყო. პორტუგალ კარლოს პარედესს უკვე 22-ე წუთისთვის მოესწრო ორი ყვითელი ბარათის მიღება და მოედნის დატოვება.

საყრდენი ნახევარმცველის გამოკლება გუნდისთვის, ცხადია, დიდი დანაკლისია, მაგრამ ამან პარაგვაელთა დაცვას თუ დაუმატა პრობლემები, თორემ მათი სტილიდან გამომდინარე, საყრდენი შეტევებში იშვიათად მონაწილეობს, დაცვიდან კი გრძელი გადაცემებით უყვართ წინ წაწევა. მაგრამ რაც უნდა იყოს, კაცნაკლულობა კაცნაკლულობაა და პარაგვაელებიც მით უფრო დასაფასებლები არიან, რომ შეთხელებულებმაც კი შეძლეს თამაშის შემობრუნება.

ნელსონ კუევასი სულ ხუთი წუთის შესული იყო მოედანზე, როცა გაათანაბრა. მალევე ამას ხორხე კამპოსის მეორე მოჰყვა, ბოლოს კი კუევასმა ისევ ჩაატარა თავისი „ქალაქური" და საბოლოო წერტილი დასვა. ერთხელ სანტა კრუზსაც მისცა ჩინებული პასი, ხოლო ზედ საფინალო სასტვენის წინ, დარტყმისას კოჭი თუ წვივი დაიზიანა და შესაცვლელი შეიქნა. ითამაშებს თუ არა კუევასი მერვედფინალში ჯერ გაურკვეველია, არადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

ისე, საინტერესო გუნდია პარაგვაი, პირველ ორ მატჩს იგებდა, მაგრამ ერთში ფრეს გამორჩა, მეორე წააგო, ახლა კი მარცხდებოდა და გაიმარჯვა... ჩილავერტი კი მართლაც საოცარი კაცია. ეს ჯარიმების დარტყმაც რომ აუკვიატებია, პირველ ტაიმში თავისუფალიც შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა და დასამატებლად საჯარიმოსკენაც რომ მიაშურა, საკუთარი კარი მერელა გაახსენდა. ერთხელაც იქნება, დაბრუნებას ვერ მოასწრებს და... თამაშის მიწურულს კი დიდებული საჯარიმო გამოუვიდა, სადღაც 35 მეტრიდან უძლიერესად დაჰკრა, მისი კოლეგა დაბანოვიჩი ბურთს თითის წვერებითღა მისწვდა და ხარიხადან ასხლეტილი ბურთი კუთხურზე გადავარდა.

მოკლედ ასეა, მერვედფინალში პარაგვაი გერმანიას ხვდება. ეს იქნება მერვედფინალთაგან პირველი შეხვედრა და შაბათს სეუგვიპოში თბილისის დროით თორმეტის ნახევარზე დაიწყება.

სლოვენიას კი რა? ის ჯგუფიდან გასვლას გეგმავდა, მაგრამ სადებიუტო მუნდიალი უსახელოდ ჩაამთავრა. მთავარი მიზეზი, ალბათ, მაინც ზაჰოვიჩსა და კატანეცს შორის მომხდარი სკანდალია. ზაჰოვიჩი ხომ შინ გააბრუნეს და სრეჩკო კატანეცმაც ოფიციალურად განაცხადა ნაკრებიდან წასვლის შესახებ. მწვრთნელს საბოლოო გადაწყვეტილება გუშინდელი მატჩის წინ მიუღია და სლოვენიური მედია შესაძლო შემცვლელებად უკვე ასახელებს ივიცა ოსიმს და მიროსლავ ბლაჟევიჩს.

სამხრეთაფრიკელებთან წინ მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის ფიფამ კატანეცი ერთი მატჩით დასაჯა და პარაგვაისთან თამაშსაც ტრიბუნიდან უცქერდა, თუმცა მისი თანაშემწე წარამარა არბოდა მწვრთნელთან და რჩევას ეკითხებოდა.

## მატჩის შემდეგ

### ჩეზარე მალდინი
*პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი*

ბევრი ვითმინეთ და საბოლოოდ საწადელს მივაღწიეთ. დიდი ბრძოლა იყო, სლოვენიელთა გოლმა გაგვაწბილა, მაგრამ ვიყოჩაღეთ და თამაში შემოვატრიალეთ.

წინა მატჩებში საოცარი უიღბლობა გვჭირდა. ორჯერ ვიგებდით და საბოლოოდ ვერ ვიხეირეთ. ამ შეხვედრას იმედის თვალით ვუყურებდით და როგორც იქნა, გაგვიმართლა.

წინ ურთულესი მატჩი გველის, გერმანია ჯერჯერობით მშვენიერ ფეხბურთს აჩვენებს. ფავორიტიც, ცხადია, ის არის, თუმც იოლად არაფერს დავთმობთ.

### ხოსე ლუის ჩილავერტი

მეამაყება, პარაგვაელი რომ ვარ. უდიდესი ბედნიერებაა, პატარა ქვეყნის მსოფლიოს საფეხბურთო ელიტაში მოხვედრა. ჩვენ დიდი ნაკრები გვყავს.



ნელსონ კუევასმა (მარცხნივ) სლოვენია დაფლითა

REUTERS

| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 9 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ს. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |



ევროპელებმა მესამე გოლი ნასტია ჩეჰის გაძევების მერე გაუშვეს

REUTERS

## სტენოგრამა

**მე-8 წუთი:** მილენკო აჩიმოვიჩის საჯარიმო დარტყმა კარს ასცდა.

**მე-9 წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ხოსე კარდოზომ თავი არაზუსტად დაჰკრა.

**მე-11 წუთი:** ფრანსისკო არსეს დარტყმული მცველს მოხვდა და კუთხურზე გავიდა.

**26-ე წუთი:** მირან პავლინის გასროლილი ხოსე ლუის ჩილავერტმა გააუვნებლა.

**27-ე წუთი:** ფრანსისკო არსემ კარს ააცილა.

**30-ე წუთი:** ხოსე კარდოზოს თავურს მეკარე გაუმკლავდა.

**36-ე წუთი:** როკე სანტა კრუზმა მცირედით ააცილა.

**41-ე წუთი:** გვიდო ალვარენგას დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**42-ე წუთი:** საჯარიმოსთან მიახლოვებულმა სებასტიან ციმეროტიჩმა მცველი მოატყუა და 15 მეტრიდან ძლიერად დაარტყა — ხოსე ლუის ჩილავერტმა იმარჯვა.

**45-ე წუთი:** მილენკო აჩიმოვიჩმა ბრწყინვალედ ითამაშა, მარჯვენა ფლანგზე ორი მეურვე ჩამოიშორა და საჯარიმოში შესულმა მახვილი კუთხიდან დაარტყა. ხოსე ლუის ჩილავერტმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და გაუშვა.

**46-ე წუთი:** მილან ოსტერცს დარტყმა არ გამოუვიდა.

**49-ე წუთი:** ხოსე კარდოზომ კარგი პასი მისცა როკე სანტა კრუზს, რომელსაც მეკარემ დაასწრო.

**50-ე წუთი:** მლადენ რუდონიას ჩილავერტმა აუღო.

**52-ე წუთი:** მილენკო აჩიმოვიჩის დარტყმული ჯვარედინს მოხვდა.

**56-ე წუთი:** ხორხე კამპოსის დარტყმა მლადენ დაბანოვიჩმა გააუვნებლა.

**61-ე წუთი:** მილან ოსტერცმა ძელს გაარტყა.

**66-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ნელსონ კუევასმა მცველები მიმოფანტა და ბურთი მარცხენა კუთხეში ჩაჭედა.

**71-ე წუთი:** მილან ოსტერცის დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**73-ე წუთი:** მილან ოსტერცის ჩაწოდებულს კარლოს გამარამ უხერხულად მოუქნია და ბურთი საკუთარ ხარიხას მოხვდა.

**74-ე წუთი:** ხორხე კამპოსის უზუსტესი დარტყმა მეკარისთვის აუღებელი გამოდგა.

**მე-80 წუთი:** ხოსე ლუის ჩილავერტის საჯარიმო დარტყმას მეკარემ თითები წაჰკრა. ბურთი ხარიხას მოხვდა და კუთხურზე გავიდა.

**84-ე წუთი:** ნელსონ კუევასმა კვლავ გაიბრწყინა — რამდენიმე მცველი მოატყუა და მლადენ დაბანოვიჩს შანსი არ დაუტოვა.

**90-ე წუთი:** ნელსონ კუევასს მეკარემ აუღო.

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. III ტური
# №37 შვედეთი 1:1 არგენტინა

12 ივნისი. მიიაგი (იაპონია). 11.30 „მიიაგი სთედიუმ". 45 777 მაყურებელი

1:0 ა. სვენსონი (59), 1:1 კრესპო (88)

*ორტეგამ ვერ გაიტანა პენალტი (88, მეკარე)*

Fotboll

1 ჰედმანი

მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

2 მელბერგი, 4 მიალბი, 15 იაკობსონი, 16 ლუკიჩი

6 ლინდეროტი, 8 ა. სვენსონი

7 ალექსანდერსონი, 17 მ. სვენსონი

11 ლარსონი, 10 ოლბოკი

7 კ. ლოპესი, 9 ბატისტუტა, 10 ორტეგა

16 აიმარი

3 სორინი, 8 ხ. ძანეტი

5 ალმეიდა

4 პოჩეტინიო, 6 სამუელი, 22 შამოტა

12 კავალიერო

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

AFA

შეცვლა: ოლბოკი – 22. ა. ანდერსონი (46), ბატისტუტა – 19. კრესპო (58), ალმეიდა – 11. ვერონი (63), სორინი – 18. კილი გონსალესი (63), ა. სვენსონი – 18. იონსონი (68), ლარსონი – 21. იბრაჰიმოვიჩი (88)

გაფრთხილება: შამოტა (55), ალმეიდა (58), მ. სვენსონი (65), კილი გონსალესი (75), ლარსონი (78)

გაძევება: კანიჯა (45, *არგენტინის სათადარიგოთა სკამიდან*)

მსაჯები: ალი ბუჯსაიმი (საამიროები); ჰაინერ მიულერი (გერმანია), მაიკლ რაგონატი(ტრინიდადი და ტობაგო)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 13 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 1 | თამაშგარე | 8 |



REUTERS მიიღება

მაგნუს ჰედმანმა არიელ ორტეგას პენალტი კი აუღო, მაგრამ კრესპოს დამატებულთან ვერას გახდა. არადა, კრესპო საჯარიმოში ნაადრევად შევიდა, ამიტომაც გოლი არ უნდა ჩათვლილიყო

# DON'T CRY FOR ME ARGENTINA

**პაატა კვანტალიანი**

ნუ იტირებ ჩემზე არგენტინა...

შვედურ კედელს შემსკდარი დღეს გიმხელ იმას, რაც აქამდეც გარკვეული მქონდა, მაგრამ გულში ვინახავდი, შენ გიფრთხილდებოდი, თავსაც და, ცოტა იმედიც მქონდა შერჩენილი. თავებს ნუ ჩახრით უჩემობით ისედაც გატანჯულო ჩემო ცეცხლოვანო ბუენოსაირესელო პორტენოელებო, ნუ გოდებ, ბოკა. ცრემლებად არ ვღირვარ ჩემო როსარიო, გულში გამოტირებული მაქვს რაც მოხდა და ჭრილობას ნულარ გამიღიზიანებთ. ვიცი, ნიგერიასთან მატჩმა თავი აგაწევინა, გული გაგითბო, მაგრამ მაშინაც ხომ თქვი, ჩემო არგენტინა, რომ რაღაც მაკლდა. ის რაღაც რაღაც არ იყო, დიდი და მოურჩენელი ტკივილი გამოდგა.

ბიელსა, განადგურებული ბიელსა... მას შეეძლო, სავიოლა მოეცა ჩემთვის, სოლარი, რიკელმეც, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. ბიელსა იმ ფანტაზიის დამბრუნებელი არ იყო „სერია A"-ს სასაკლაოზე რომ დავკარგე და შენც ხომ იცი, უფანტაზიოდ ვარსკვლავებს რომ ვერ მოგიწყვეტ.

ნუ ეტყვი ორტეგას რომ ბებერი კომპოზიტორია, სამხრეთული სქემებით თავგამოტენილი შამოტიც შეიცოდე, ომარს თავის ცრემლებიც აკმარე და ვერონის უთავბოლო დახვეულებიც ნუ მოგიკლავს გულს. შენ იცი, რომ უიარაღოდ არავის მოუგია ომი და ამიტომაც არ ვღირვართ ცრემლად.

ეჰ, ჩემი ფანტაზია... დაჩოქებულს განახებდი ინგლისს, შენც იცი, რომ მაგათ არ მოუგიათ, ჩვენ წავაგეთ, იცი და ეს უფრო გიკლავს გულს.

შვედებს უფანტაზიოდ ბურთს როგორ გავუგორებდი. ესენიც ხომ ყველაზე დიდ საფრთხეს ბურთის გორებით და ცენტრიდან დაწოლით ელოდნენ, ამიტომაც დავძაბე გონება და ისიც მიკვირს, ამ მდგომარეობაში ფლანგებიდან შეტევა როგორ მოვიფიქრე, როგორ არ ელოდა ასეთ ევროპულ ფეხბურთს მეტოქე ლამის ავჭერი, შენც ხომ იცი, რომ ჩხინკი გოლი ყველაფერს დაამთავრებდა, ხომ იყო კიდეც გასატანი.

ეჰ, სორინი... ბადეზე გარედან გამარტყმელო ლოპეს, იქნებ ჩემივე ხელით გათხრილი საფლავი უპატრონოდ დარჩენილიყო. ჩემი ფანტაზია... რა უპრობლემოდ გამოვჭრიდი ყელს ულუნგბერგო ევროპელებს, ერთი ტაიმი რომ დასჭირდათ ჩვენი ფლანგურებით გაბრუებულებს გონს მოსაგებად. მაგრამ რომელი უტვინო შვედეთია ადრე თუ გვიან არ გავეშიფრე. მაშინ იყო საჭირო ჩემი ნაცადი არგენტინული აწკაპუნება, მაგრამ შენც იცი, ვერ შევძლებდი იმის დაბრუნებას, მიინაგიდან შორს რომ მქონდა დაკარგული. ვიცი, უკვე სიმწრით ღრიალებ, ბუენოს აირესსაც ცეცხლს მისცემ და ვინ იცის, გულს როდის მოიოხებ, მაგრამ არ ღირს, მომხდარს ახლა არაფერი უშველის. მე შენი იმედი მაქვს, შენ უნდა მაპოვნინო ის, რაც წყეულ ევროპაში დავკარგე. მე შენი მჯერა...

ნუ იტირებ ჩემზე, არგენტინა...

## მატჩის შემდეგ

### მარსელო ბიელსა

*არგენტინის ნაკრების მწვრთნელი*

ეს უდიდესი უბედურება და იმედგაცრუებაა. ფავორიტობა ბევრ რამეს გავალებს და ვალდებული ხარ, საქმით დაამტკიცო შენი სიძლიერე. ეს ვერ შევძელით და გულშემატკივრებთან შევრცხვით.

ბევრად უფრო მობილიზებულნი ვიყავით, ვიდრე ინგლისელებთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მეტს ვერაფერს ვიტყვით, კონტრაქტი თვის ბოლოს მიმთავრდება და, ალბათ, დავტოვებ ნაკრებს. ისე კი, ვერ მივიღეთ ის, რასაც ვიმსახურებდით.

### ლარს ლაგერბეკი

*შვედეთის ნაკრების თანამწვრთნელი*

დღეს გაგვიმართლა. აქცენტი დაცვაზე გავაკეთეთ და ჩვენმა არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. მინდა ბიჭებს მადლობა მოვუხადო გაწეული დიდი შრომისთვის. ისინი გმირები არიან.

### ანდერს სვენსონი

ჩემ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ეს ფანტასტიკა იყო, ლამის ჭკუიდან შევიშალე კარში შევარდნილი ბურთი რომ დავინახე.

### ჰენრიკ ლარსონი

ჯარიმის დარტყმას მე ვაპირებდი. ანდერსმა მკითხა, ძალიან გინდა, რომ დაარტყაო. კი მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მაინც ვკითხე, თვითონ ხომ არ უნდოდა ამ საჯარიმოს შესრულება. მინდა, ძალიან მინდა, იქნებ დამითმოო, მთხოვა და ბურთთან ანდერსი დავტოვე- ვგრძნობ, რომ შეგვიძლია, შვედეთს დიდება მოვუტანოთ და ყველამ განსაკუთრებულად უნდა მოვინდომოთ.

## სტენოგრამა

**მე-6 წუთი:** მარკუს ოლბორკის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ჰენდრიკ ლარსონმა შეასრულა, თუმც უშედეგოდ.

**მე-7 წუთი:** გაბრიელ ბატისტუტამ კარს ზემოდან გადააცილა.

**მე-10 წუთი:** ანდერს სვენსონმა 19 მეტრიდან ააცილა.

**მე-14 წუთი:** ხავიერ ძანეტის ჩაწოდებულს ხუან პაბლო სორინმა თავი დაჰკრა. მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა.

**მე-17 წუთი:** ამჯერად კლაუდიო ლოპესმა დაასვა ბურთი თავზე ხუან პაბლო სორინს. ბურთი კარს ასცდა.

**მე-20 წუთი:** კლაუდიო ლოპესის ჩაწოდებული ხუან პაბლო სორინმა თავით გაბრიელ ბატისტუტას დაუგდო, თუმც „ბატიგოლი" ბურთს ვერ მისწვდა.

**27-ე წუთი:** კლაუდიო ლოპესმა შეუჩერებლად დაჰკრა ბურთს, მაგრამ კარს ააცილა.

**41-ე წუთი:** პაბლო აიმარის პასით კლაუდიო ლოპესმა ვერ იხეირა.

**53-ე წუთი:** ხუან პაბლო სორინის თავური კვლავ არაზუსტი გამოდგა.

**55-ე წუთი:** ანდერს სვენსონის საჯარიმო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**59-ე წუთი:** ამჯერად ანდერს სვენსონმა საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა — 1:0.

**82-ე წუთი:** ხავიერ ძანეტის ძლიერად დარტყმული მაგნუს ჰედმანმა ნახტომში გააუვნებლა.

**84-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ანდრეას ანდერსონმა მცველი მოატყუა და მოჭრილი დარტყმა შეასრულა. ბურთი ხარიხას მოხვდა.

**87-ე წუთი:** კილი გონსალესის დარტყმულს მცველი გადაეღობა.

**88-ე წუთი:** არიელ ორტეგას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი თავად დაზარალებულმა უხეიროდ დაარტყა, თუმც დამატებაზე ერნან კრესპომ იმარჯვა — 1:1

**90-ე წუთი:** კლაუდიო ლოპესმა მახვილი კუთხიდან კარს ააცილა.



REUTERS მიიღება

პოჩეტინიომ (№4) და სამუელმა ოლივე ოლბოკი და მისი გუნდი მაინც ვერ დაჩაგრეს

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. III ტური
# №38 ნიგერია 0:0 ინგლისი

12 ივნისი. ოსაკა (იაპონია). 11.30 „ოსაკა ნაგაი სტადიუმ". 44 864 მაყურებელი




შეცვლა: ჰესკი – 17. შერინგემი (69), ოუენი – 20. ვასელი (77), კოული – 14. ბრიჯი (85), ოპაბუნმი – 7. იკედია (86)

მსაჯები: ბრაიან ჰალი (აშშ); ექტორ ვერგარა (კანადა), ევზენ ამლერი (ჩეხეთი)

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 7 |
| 5 | კუთხური | 7 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 17 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

# მდუმარება
## შოკი და შახტარი დანახშირდა, აფრიკამ ინგლისი ვერ გადაწვა

**დავით თავართქილაძე**

ღმერთი მაღალი ინგლისელებმა ოსაკაშიც ახსენეს და მადლიც მიიღეს — მერვედფინალი.

თუმც სვენ გორან ერიკსონის გუნდს რომ მოეგო, ალბიონელები ისევ აფრიკელებს, სენეგალის ნაკრებს გადაეყრებოდნენ და არა დანიელებს.

გუნდების სიძლიერეზე სწორედაც რომ დავობენ ამ მუნდიალზე და ვგონებ, მორტენ ოლსენი, იესპერ გრონკიაერი, იონ დალ ტომასონი თუ ებე სანდი აფრიკელებზე ოდნავ მაინც უხერხული ყრმები არიან ინგლისელთათვის.

მაგრამ უმთავრესია, რომ ღვთისაგან დაფარული დედოფლის ინგლისი შოკჯგუფიდან გავიდა.

დავობენ გემოვნებაზეც და გუშინ ინგლისი ფრიად მოსაწონი გუნდი არ იყო. გინდ პრაგმატიკოსი უწოდეთ ერიკსონს, გინდ რაციონალისტი, მისი ინგლისი ოსაკაში ვარსკვლავებს ვერ გაეთამაშა.

მდუმარებით შემოსილი და წყნარი იყო გუშინ ალბიონური ნაკრები, ვერ გაახელა ის ნიგერიამ და ვერც დათრგუნა.

არადა, პირველ წუთებში უფრო მონდომებული სწორედ ნიგერია ჩანდა. უკრაინული გუნდი, რომელსაც ახლა დონეცკის „შახტარად" იცნობენ და არა „შახტიორად", მეტალურგიული და სამთო საწარმოებიდან შემოსული ფულით მსუყედ იკვებება და ვინძლო, მალე კიდევ რამდენიმე მილიონს გამოჰკრას ხელი — დონეცკელთა ნიგერიელ ფორვარდს, ჯულიუს აგაოვას გუშინ გოლი არ გაუტანია, მაგრამ პრემიერლიგელ სკაუტებს ნაღდად მოაწონებდა თავს.

20 წლის აგაოვამ პირველ ტაიმში ძალიან კარგ პოზიციაში მოიგდო ბურთი, მაგრამ ინგლისელთა საჯარიმოში მცველები ოდენ ციბრუტივით აბზრიალა და ბურთი კარში დაურტყმელად დაკარგა.

ბურთის ფლობის ხანგრძლივობის მიხედვით პირველ ტაიმში ნიგერია ინგლისს ჯაბნიდა, მაგრამ ეგ იყო და ეგ.

აფრიკელთა მეკარე ვიქტორ ენიეამა კი დევიდ ბექემის მიერ ჩახვეულ მაღალ ბურთებზე ვითომ ყოჩაღად გამოდიოდა, თუმც ხელ-ფეხი ისე უკანკალებდა, რომ ბურთს უცნაურად, უაზროდ, მაგრამ იგერიებდა. ხოლო ინგლისმა 20 წლის ენიეამას ბავშვური დაუდევრობა ვერ შეირგო. ისე, ემილ ჰესკის შეეძლო მისი გაწბილება — ბექემის დაბალ, ბალახზე გასრიალებულ პასს ფეხი ისე დაუხვედრა, რომ მეკარემ ძელთან გააქვავა ბურთი.

მერე იყო აუგუსტინ ოკაჩას ჯარიმა და დევიდ სიმენის ხელისგან მინდორზე დავარდნილი ბურთი, რომელსაც აგაოვამ კი მიუსწრო, მაგრამ მისთვის ძალიან უხერხული მდგომარეობიდან მიზანს ააცილა.

ინგლისმა ამ გამოხდომას მაიკლ ოუენის სწრაფი სოლო რეიდით უპასუხა, თუმც დამაგვირგვინებელ დარტყმას კიდევ ერთი შახტარელი ისააკ ოკორონკვო გადაელობა.

ტაიმის მიწურულს უკვე ალბიონელები ბატონობდნენ. შორეული დარტყმები კი ორივე კართან იყო, მაგრამ პოლ სქოულზისა მათგან აშკარად გამოირჩეოდა — ენიეამა ძლივს შეხწვდა მაღალ ბურთს და მისი თითების შემდეგ ძელმა აისხლიტა წითური ინგლისელის დაქუხებული.

მეორე 45 წუთიც აგაოვას ანცობით დაიწყო, თუმც მან მეორე ჯერზეც ზედმეტად ათრია ბურთი მეტოქის საჯარიმოში და ხიფათიც ამით განმუხტა.




მაიკლ ოუენმა საგოლედ ერთხელაც ვერ მოიქნია

REUTERS

ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად ერიკსონის გუნდი დაეუფლა. ინგლისი უტევდა და ბურთს აგორებდა, მაგრამ აგრესიულობა აკლდა.

შეტევის მარცხენა ფრთაზე კი ეშლი კოული ნავარდობდა და საუკეთესო შანსიც მისი ფლანგური ჩაწოდების წყალობით შეექმნა ინგლისს — 36 წლის ტედი შერინგემმა ნიგერიის კარიდან 5-6 მეტრის სიშორეზე ბურთს ცაცია მოუქნია და ტრიბუნისკენ ატყორცნა.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

## მატჩის შემდეგ

### ადეგბოიე ონიგბინდე
*ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი*

ჩვენ კორეა-იაპონიაში ორი მიზანი გვქონდა — არ შეგვერცხვინა თავი და ჩაგვეყარა საფუძველი „სუპერ არწივების" ახალი გუნდისთვის. ნათელია, რომ ყველაფერი ეს შევძელით და ამით კმაყოფილი ვარ.

პირველ ორ შეხვედრაში იღბალმა კი დაგვალალატა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე რომ ვერ გავედით, ღვთის ნება იყო.

### სვენ გორან ერიკსონი
*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

ვიცოდი, რომ ნიგერიას ამ მატჩის წაგება არ სურდა და ვფიქრობ, მეტოქემ კარგად ითამაშა. ჩვენ უფრო მეტი შანსი გვქონდა, მაგრამ დღეს გოლი ვერ გავიტანეთ.

რაც შეეხება იმას, მერვედფინალში მეტოქედ სენეგალი გვერგება თუ დანია, მიმაჩნია, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს. აფრიკული გუნდები ბურთს კარგად აკონტროლებენ და გვაიძულებენ, ვირბინოთ, ვირბინოთ და ვირბინოთ. ასე რომ, დანიაც და სენეგალიც, ორივე, კარგი გუნდებია. ახლა კი დანიის დამარცხება გვმართებს.

დღეს კი მატჩი ზანტად დავიწყეთ. გვინდოდა, ადრევე გაგვეტანა გოლი, მაგრამ ვერ შევძელით. მიუხედავად ამისა, მიზანს მივაღწიეთ — მერვედფინალში გავაღწიეთ.

რაც შეეხება გუნდის მზადყოფნას, დავძენ, რომ შვედეთთან საიმედოდ ვითამაშეთ, არგენტინასთან, ძალიან კარგად. დღესაც კარგად გავაგრძელეთ დაწყებული საქმე, განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

### დევიდ ბექემი

აშკარაა, რომ ყველა თამაში აქ დიდი მატჩია. დღეს ჩვენ ჯგუფიდან გავედით, თან მატჩი პაპანაქება სიცხეში დაიწყო. დანიასთან კი სალამოსთვის მოგვიწევს შეხვედრა 15 ივნისს, რაც ჩვენთვის ალბათ, ოდნავ უკეთესი იქნება.

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** პოლ სქოულზის 22 მეტრიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**მე-8 წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ჯულიუს აგაოვამ ორი მეურვე ჩამოიშორა, თუმც დარტყმა არ გამოუვიდა.

**მე-11 წუთი:** ჯეიმს ობიორამ არაზუსტად დაარტყა.

**მე-12 წუთი:** რიო ფერდინანდმა ახლოდან ააცილა.

**მე-19 წუთი:** დენი მილსის გადაცემას ემილ ჰესკი გამოეხმაურა, მცველს დაასწრო და კარში დაარტყა, თუმც მეკარემ იყოჩაღა.

**მე-20 წუთი:** დევიდ ბექემს მეკარემ აუღო.

**21-ე წუთი:** აუგუსტინ ოკოჩას დარტყმულს დევიდ სიმენი გაუმკლავდა.

**30-ე წუთი:** აუგუსტინ ოკოჩას გასროლილი მეკარემ მოიგერია, დამატებაზე ყველას ჯულიუს აგაოვამ დაასწრო, თუმც ზუსტად ვერ დაარტყა.

**32-ე წუთი:** დევიდ ბექემის 35 მეტრიდან დარტყმული ენიეამამ გააუვნებლა.

**35-ე წუთი:** საჯარიმოში შესულმა მაიკლ ოუენმა სამი მცველი მოატყუა, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა კარში.

**37-ე წუთი:** ბენედიქტ აკვუეგბუს მეკარემ აუღო.

**41-ე წუთი:** მაიკლ ოუენის დარტყმულს მცველი გადაეფარა.

**43-ე წუთი:** დენი მილსმა კარს ააცილა.

**44-ე წუთი:** პოლ სქოულზის გასროლილი ძელს მოხვდა.

**48-ე წუთი:** ჯულიუს აგაოვამ ხეირიანად ვერ დაარტყა.

**56-ე წუთი:** დევიდ ბექემის დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**63-ე წუთი:** დევიდ ბექემის საჯარიმო დარტყმა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი პოლ სქოულზმა ვერ ივარგა.

**67-ე წუთი:** ნიკო ბათმა არაზუსტად გაისროლა.

**73-ე წუთი:** ჟოზეფ იობომ კარს ააცილა.

**76-ე წუთი:** ტედი შერინგემმა კარს ზემოდან გადააცილა.




REUTERS

ბებერმა დევიდ სიმენმა მეტოქე ახლოს არ გაიკარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივნისელი



**დარიუს ვასელი**
**(ინგლისი) 13.06.80**

**თითქოს** უცნაურია, სვენ გორან ერიკსონმა ნაკრებში მიიწვია ფეხბურთელი, რომელიც კლუბში მეტწილად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, ამგვარი რამ უფრო სუსტ ნაკრებებში ხდება, ერთი კაცი რომ ჰყავს ბობოლა კლუბში და გინდ სულ არ თამაშობდეს, მაინც ეძახიან. მაგრამ ინგლისი ამბიციური გუნდია, თან დარიუს ვასელიც არ თამაშობს ბობოლა კლუბში — „ასტონ ვილას" ბობოლობა არავის უთქვამს.

მაგრამ ვასელი ნაკრებშია, ერიკსონი კი სულელი არ არის — ესე იგი, ვასელის წაყვანის მიზეზი ჰქონდა.

ფეხბურთელი, რომელიც დღეს ოცდაორი წლისა გახდა, წინა სეზონში სულ შვიდჯერ იყო „ასტონ ვილას" სასტარტო შემადგენლობაში, ძირითადად შეცვლაზე შედიოდა და თორმეტი გოლის გატანა კი მოახერხა.

ნაკრებში კი, მსოფლიოს ჩემპიონატამდე მან მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა და სამი გოლი გაიტანა. საკითხავია, მეტი რა უნდა ექნა, მუნდიალზე წაყვანა რომ დაემსახურებინა.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ სადებიუტო მატჩში, ამა წლის 13 თებერვალს ჰოლანდიასთან, ვასელმა მართლაც რომ ულამაზესი გოლი გაიტანა.

## სადღეისო ვითარება

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 5 | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| 3 | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| | პედრუ პაულეტა | (პორტუგალია) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| 2 | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო იერო | (ესპანეთი) |
| | რივალდო | (ბრაზილია) |
| | რონალდო | (ბრაზილია) |
| | იუნიჩი ინამოტო | (იაპონია) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | ნელსონ კუევასი | (პარაგვაი) |

**ავტოგოლი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუვაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს ბუიოლი | (ესპანეთი) |

**წითელი ბარათი**

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეპი (სლოვენია)

---

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. C ჯგუფი. №41**

## კოსტა რიკა — ბრაზილია

დღეს. სუვონი (კორეა). „სუვონ უორლდ კაფ სთედიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ლონისი, ჟ. მარტინესი, რაიტი, მარინი, უოლესი, სოლისი, ვ. ლოპესი, კ. კასტრო, სენტენო, ვანჩოპე, რ. გომესი | მარკოსი, ლუსიო, ანდერსონ პოლგა, ედმილსონი, კაფუ, ჟილბერტო სილვა, ჟუნიორი, ჟუნინიო, ედილსონი, რონალდო, რივალდო |
| მწვრთნელი: ალეშანდრე გიმარაეში | მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი |

მსაჯი: ჯამალ ღანდური (ეგვიპტე)

# თურქული ვერსია
## ბრაზილია ტიკოს არ დახევს

**ჩაწყობა-გარიგებაზე** ალაპარაკდნენ თურქები და რაღა გასაკვირია, რომ თითს ბრაზილია — კოსტა რიკის დღევანდელი მატჩისკენ იშვერენ. ბრაზილიას თავი ქუდში აქვს და კოსტა რიკას ქულას ხონჩით მიართმევსო, ირწმუნებიან ოსმალები, რომელთაც სამერვედფინალოდ მცირე შანსიღა შერჩათ.

ბრაზილიას მართლაც თავი ქუდში აქვს და სამერვედფინალოდ გამზადებულმა, შესაძლოა, თავს მოდუნების უფლება მისცეს, თუმც თურქების აყორიაქებას არასერიოზულად მიიჩნევს როკე ჟუნიორი. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ პროფესიონალები ვართ და კოსტარიკელებთან მოსაგებად შემართულნი გავალთო, ირწმუნება მილანელი მცველი, რომელმაც დღეს შესაძლოა, საერთოდ არ ითამაშოს, რაკიღა ერთი გაფრთხილება მიღებული აქვს და სკოლარი მის შემონახვას აპირებს.

თურქები კი მაინც ბორგავენ. კოსტარიკელთა ტომით ბრაზილიელ თავკაც გიმარაეშს თანამემამულეები არ გაწირავენო. გიმარაეში ბრაზილიელია, მაგრამ 1984 წელს კოსტა რიკის მოქალაქეობა მიიღო და ახალი სამშობლოს სახელით 1990 წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. მაშინაც, ისევე როგორც ახლა, ჯგუფში კოსტა რიკას მეტოქე ბრაზილია იყო. „ტიკოებს" ვერც შეცვლაზე შესულმა გიმარაეშმა უშველა — ის მატჩი ბრაზილიამ 1:0 მოიგო. მიუხედავად ამისა, კოსტარიკელებმა მაინც გააღწიეს მერვედფინალში. მოკლედ, „ტიკოებს" ბრაზილიელთა თანაჯგუფელობა კარგად აქვთ დაცდილი.

ამ ორითა ბოლო სანაკრებო მატჩი 1995 წელს შედგა „კოპა ამერიკაზე", ფავორიტებმა მაშინ 5:0 გაანადგურეს კოსტარიკელები.

ბრაზილიელები მშვიდად ელიან დღევანდელ შეხვედრას. გარიგებაზე საუბარს რიკარდინიოც აბსურდულად მიიჩნევს — ჩვენს გვერდით ჩვენი გულშემატკივრები, ჟურნალისტები არიან და მათ გულს არ დავწყვიტთ — ამბობს სკოლარის გუნდის სათადარიგო ფეხბურთელი. ბრაზილიელები ქების სიტყვებს არ იშურებენ დღევანდელი მეტოქისადმი. სკოლარის თქმით, კოსტა რიკა დახვეწილი პასებით და ეფექტური დრიბლინგებით ლათინური საფეხბურთო სკოლის ღირსეული წარმომადგენელია.

იმედიანადაა „ტიკოთა" თავკაცი ალექსანდრე გიმარაეშიც. „ბრაზილიას დღეს საფუძველი არა აქვს იმისთვის, რომ თავდადებით იბრძოლოს. ფსიქოლოგიური მომენტი მაინც ანგარიშგასაწევია, ეს გუნდი თავს არ მოიკლავს დღევანდელ მატჩში და ეს ჩვენი შანსია, თუმც ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ბრაზილია გამიზნულად გაგვატარებს მერვედფინალში".

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი ფიქრობს, რობერტო კარლოსი და რონალდინიოც დაასვენოს. პირველს მუხლი წამოსტკივდა, რონალდინიოს კი ერთი გაფრთხილება მიღებული აქვს. ამ ორს „დიდი ფილი" ედილსონი და ედმილსონი შეუნაცვლებს.

**ბაატა ძგანტალიანი**



დასვენება რობერტო კარლოსსაც სდომებია

---

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. C ჯგუფი. №42**

## თურქეთი — ჩინეთი

დღეს. სეული (კორეა). „სეულ უორლდ კაფ სთედიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| რუშთუ, უმით ოზატი, ალფაი, ფათიჰი, თუგაი, ემრე ბელოზოღლუ, ბაშთურქი, უნსალი, ჰასან შაში, ჰ. შუქური, ილჰანი | ჯინი, ვეი, ვეიფენგი, ჩენგიანგი, იუნლონგი, ხაოპენგი, კ. ჰონგი, ტიე, იუნჟე, მინგიუ, ჰაიდონგი |
| მწვრთნელი: შენოლ გიუნეში | მწვრთნელი: ბორა მილუტინოვიჩი |

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

# ბულამ რქები არ დაიდგა

**თურქების** სული ორად გაიყო. ნაწილი ბრაზილია — კოსტა რიკის ხელშია, ნაწილიც თავად თურქებისა.

ჩვენს მეზობლებს დიდი ანგარიშით მოგება სჭირდებათ. თუ შეძლეს და მათ ბრაზილიელებმაც კარიბელები დაამარცხეს მაშინ მერვედფინალისკენ გაიკაფავენ გზას.

ოსმალეთის იმპერიაში არეულობაა. მიზეზი მარტივია. ორივე შეხვედრას იგებდნენ და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

„კრიტიკის ობიექტი ამჯერად „ბოსფორის ბულა", ჰაქან შუქურია. „პარმას" ფორვარდმა პასუხი არ დაახანა: „უმოწყალოდ გამთათხეს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ყელში ამომივიდა. კი, საგოლე მომენტებს ვერ ვქმნი, მაგრამ ვინმეს უფიქრია, რატომ? შეხედეთ ნახევარმცველებს, როგორ თამაშობენ. ისინი სათითაოდ დაათრევენ ბურთს და პასს როგორღა მივიღებ? თითოეულ მათგანს თავის გამოჩენა სურს. ასეთ პირობებში ჩემგან რას ელით?"

თანაგუნდელს ემრე ბელოზოღლუ გამოესარჩლა, ახლა ყველამ ხელები უნდა დავიკაპიწოთ, რადგან ჩვენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებსო.

შენოლ გიუნეში ამტკიცებს, პრობლემები არ გვაქვს, შანსი დაგვრჩა და მის გამოსაყენებლად ვიბრძოლებთო: „ჯერ არაფერია დაკარგული. ორ მატჩში დიდი შეცდომები დავუშვით და სათანადოდ დავისაჯეთ. ფეხბურთელები გაწბილებულნი არიან, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევიათ. მათ იციან, რომ შეცდომებზე სწავლობენ".

თურქთა მწვრთნელმა კოსტა რიკასთან მატჩი გაიხსენა და უფრო სწრაფად მოქმედება გვმართებსო, დაამატა.

ოსმალები, ალბათ, ორი თავდამსხმელით დაიწყებენ დღევანდელ შეხვედრას. გიუნეშს ვერ გადაუწყვეტია, ჰაქან შუქურს არიფ ერდემი შეუწყვილოს თუ ყმაწვილი ილჰან მანსიზი. ალბათ, მაინც ილჰანისკენ გადაიხრება.

დისკვალიფიცირებული მცველი ალფაი ოზალანი და ნახევარმცველი ჰაქან უნსალიც გუნდს დაუბრუნდნენ.

ბორა და ჩინელები მშვიდად არიან. კაციშვილი შემწუხებელი არ ჰყავთ. ერთი ეგაა, ჩემპიონატიდან ქულის წაღება სდომებიათ. ცოტა სირცხვილიც კია, ჯიბეგაფხეკილი დაბრუნდე მილიარდიან სამშობლოში. მილუტინოვიჩის პროგრამა ასეთია — მოგება ან ქულა, თუ არა, გოლი მაინც. იუგოსლაველმა სპეციალისტმა ბრძანა: „ისეთი თამაშით, ბრაზილიასთან რომ ვაჩვენეთ, დღევანდელი მეტოქის ძლევა რეალურად მეჩვენება. ჩვენთვის ეს მატჩი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველ-მეორე. გვსურს, ჩემპიონატი მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ. თურქებისგან უფრო მეტს ველოდი, განსაკუთრებით ჰაქან შუქურისგან, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ამჟამად ფორმაში არაა".

ჩინელებს, ალბათ, ფან ჟი და სუნ ჟიხაი ისევ არ ეყოლებათ. მათ კი ჰონგი და დუ ვეი შეცვლიან.

თუ ჩინეთმა ვერც მოიგო და ვერც გაიტანა, ისეთი გუნდის გვერდით დადგება, როგორიც საფრანგეთია. ეს კი მთლად ურიგო არ უნდა იყოს. ასეა?

**გაგა ხუციშვილი**



შენოლ გიუნეში



ჰაქან შუქურმა (მარჯვნივ) და თურქულმა პრესამ ერთმანეთზე გაიწყრეს

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. G ჯგუფი. №43

## მექსიკა — იტალია

დღეს. ოიტა (იაპონია). „ოიტა სთედიუმ ბიგ აი". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| პერესი, ვიდრიო, მარკეში, კარმონა, რამონ მორალესი, ტორადო, ი. როდრიგესი, ლუნა, არელანო, ბორგეტი, ბლანკო | ბუფონი, პანუჩი, კანავარო, ნესტა (ან მატერაცი), მალდინი, ძამბროტა, ტომაზი, კ. ძანეტი (ან გატუზო), ტოტი, ვიერი, ინძაგი (ან დონი) |
| მწვრთნელი: ხავიერ აგირე | მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი |

მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)

# გასამდება?



ჯოვანი ტრაპატონისგან იტალიამ ვიერის და ინძაგის შეწყვილება მოითხოვა

**იტალიამ** მექსიკა უნდა დაამარცხოს, თორემ პირველსავე ჯგუფურ ეტაპზე გავარდნილ ფავორიტებს გაასამებს. მოგეხსენებათ, შეჯიბრებას საფრანგეთი და არგენტინა უკვე გამოეთიშნენ. ასეთ დღეში კი „სკუადრა აძურა" იმიტომ ჩავარდა, რომ წინა შეხვედრაში, ხორვატიის წინააღმდეგ, ერთი რომ დაცვაში დაუშვა უხეში შეცდომები და მეორეც, ინგლისელი მსაჯის, გრემ პოლისა და დანიელი თანამსაჯის, იენს ლარსენის მეცადინეობით ორი გატანილი გოლი მოაკლდა.

არადა, მექსიკა, რომლის დამარცხებაც ისე იოლად ვახსენეთ, გეგონება პიცის თუ სპაგეტის ჭამა იყოს, არც მეტი, არც ნაკლები, ჯგუფის ლიდერია, მან აქამდე ხორვატიაც დაჯაბნა და ეკვადორიც. ამასთან მექსიკელებმა იტალიელებისა არ იყოს, ჩინებულად იციან, რომ დამარცხების შემთხვევაში მერვედფინალში დიდი პატივით ხორვატიას გააცილებენ, რადგან ხორვატია ეკვადორს ხვდება და ალბათ მოუგებს. ისე კი, ჩვენში დარჩეს და ეკვადორი, რომელსაც წამლად ქულაც არ მოუპოვებია, მაინც არ არის უშანსოდ.

ზევით, ისეთი მკრეხელობა წამოგვცდა, როგორიც იტალიელთა ჯგუფში ჩარჩენა გახლავთ. ასეთი რამ კი 28 წლის წინ მოხდა და რომ არ განმეორდეს „სკუადრა აძურამ" უნდა მოიგოს. ერთი სიტყვით, შეხვედრას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ამბობს ნახევარმცველი ჯანლუკა ძამბროტა:

„ჩვენ უკვე დავივიწყეთ მსაჯების შეცდომათა გამო წაგებული შეხვედრა და მხოლოდ მექსიკასთან თამაშზე ვფიქრობთ. წინ უმძიმესი მატჩი გველის, თუ წავაგებთ, ვვარდებით. ამიტომაც ვართ ფხიზლად. არც მოტივაცია გვაკლია და არც თამაშის ჟინი, არავინ იფიქროს, რომ თუნდაც წამით წარბს შევიხრით. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის ამბავია. მოკლედ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება".



კუატემოკ ბლანკომ (მარცხნივ) და ბრაულიო ლუნამ რაგბი გაიჩალეს

ამასობაში კი იტალიური მასმედია მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. ჟურნალისტები ხანდაზმული მაესტროსგან ძველ, ათასგზის გამოცდილ ფორმულასთან დაბრუნებას ითხოვენ. ფორმულა ასეთია: ფრანჩესკო ტოტი ორი თავდამსხმელის, კრისტიან ვიერისა და ფილიპო ინძაგის უკან.

მაგრამ დონ ტრაპი არ ჩქარობს. საბოლოო შემადგენლობის განსაზღვრამდე მას ექიმების ვერდიქტი სჭირდება: შეძლებენ მცველი ალესანდრო ნესტა და ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტი მოედანზე გასვლას? როგორც ნესტას, ასევე ძანეტის ფეხი სტკივათ და მათი ჯანმრთელობის ამბავი გუშინ მეორე ვარჯიშის შემდეგ უნდა გარკვეულიყო.

რაც შეეხება მექსიკას, ჯგუფურ ეტაპს ეს გუნდი ბოლოს 1966 წელს ვერ გაცდა, თუმცა 1974, 1982 და 1990 წლებში ისინი ჩემპიონატზე საერთოდ ვერ მოხვდნენ.

**ბაჩუნა ძიძია**

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. G ჯგუფი. №44

## ეკვადორი — ხორვატია

დღეს. იოკოჰამა (იაპონია). „ინტერნეიშენალ სთედიუმ იოკოჰამა". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| სევალიოსი, დელა კრუზი, ურტადო, პორროსო, გუერონი, მ. აიოვი, აგინაგა, კ. კალა, ე. მენდესი, კავიედესი, დელგადო | პლეტიკოშა, სარიჩი, რ. კოვაჩი, სიმუნიჩი, იარნი, ტომაში, სოლდო, ნ. კოვაჩი, ვუგრინეცი, რაპაიჩი, ბოკშიჩი |
| მწვრთნელი: ერნან დარიო გომესი | მწვრთნელი: მირკო იოზიჩი |

მსაჯი: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა)

# განმეორება იოლია
## თვალი გეჭიროს შინისკენ

**ხორვატებს** ორი ან მეტი ბურთის სხვაობით მოგება სჭირდებათ, რათა თავი მერვედფინალში დაიგულონ. მარკო იოზიჩის გუნდს საამისოდ ძალა ნამდვილად შესწევს. ხორვატთა მწვრთნელმა განაცხადა, რომ თუ ისევე ითამაშებენ, როგორც იტალიასთან, გამარჯვება არ გაუჭირდებათ.

დავორ შუკერი და რობერტ პროსინეჩკი სათადარიგოთა სკამს დაამშვენებენ. სასჯელმოხდილი ბორის ჟივკოვიჩი დაბრუნდება, თუმც, ალბათ, ძირითადში ვერ მოხვდება. მარჯვენა მცველის ადგილს დანიელ სარიჩი დაიკავებს. ტერფის მცირე ტრავმამ შეაწუხა ზვონიმირ სოლდო, მაგრამ ექიმებმა თქვეს, საშიში არაფერიაო.



ალექს აგინაგა (№10): ჩვენ ეკვადორი გვიყურებს ახლა

მიუხედავად იმისა, რომ ვუგრინეცის ნაცვლად შესულმა ივიცა ოლიჩმა იტალიელებს გაუტანა, დავორ ვუგრინეცი მაინც ძირითადში იქნება. თავდასხმაში ალენ ბოკშიჩს მილან რაპაიჩი დაეხმარება.

მთლიანობაში ხორვატები კარგ ხასიათზე არიან. მირკო იოზიჩი გუნდი კმაყოფილია: „მაშინაც კი, როცა იტალიელებთან პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, შევამჩნიე, რომ ბიჭები აზრიანად თამაშობდნენ. ახლაც ვიცი, როგორ ვძლიოთ ეკვადორს საჭირო ანგარიშით, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იქნება".

ალენ ბოკშიჩი: „ახლა უფრო კარგად ვგრძნობთ თავს, რადგან იტალია დავამარცხეთ და ეკვადორთან რატომ უნდა გაგვიჭირდეს?"

ეკვადორელთა მთავარ მწვრთნელს, ერნან დარიო გომესს ზღაპრების არ სჯერა: „ჩვენ თვალი უკვე შინისკენ გვიჭირავს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მერვედფინალში გავაღწიოთ".



იტალიამოლეული ოლიჩი მწვრთნელმა ეკვადორზე დაგეში

გუნდის კაპიტანმა ალექს აგინაგამ თქვა, კარის გაჯახუნებას შევეცდებით: „ორივე შეხვედრაში დავმარცხდით, თუმცა ჩემპიონატის დატოვებას თავაწეულები ვაპირებთ. მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე, გამართული ფეხბურთის თამაში შეგვიძლია და აქ შემთხვევით არ მოვხვედრილვართ. შეიძლება ვერ მოვიგოთ, მაგრამ ღირსეულად ვიბრძოლებთ. ჩვენ სასწაულები კი არა, საქმისადმი პროფესიული მიდგომა და სწავლა გვჭირდება. სხვა რომ არაფერი, მთელი ეკვადორი გვიყურებს".

ალექს აგინაგამ, რომელსაც მსუბუქი ტრავმა აწუხებს, შეიძლება, ჩვეული პოზიციიდან ცოტა უკან დაიხიოს, ხოლო კარლოს ტენორიოს, ალბათ, დასვენება მოუწევს. ტენორიო მექსიკასთან მატჩში თანაგუნდელს აუხირდა და ერნან დარიო გომესი ულირსი საქციელისთვის დასჯას უპირებს.

**მაკა ხუციშვილი**

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან



*„დიდი მატჩი“ — სწორედ ასე მონათლა გერმანულმა პრესამ სამშაბათის გერმანია — კამერუნი. ამ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონატის E ჯგუფის გამარჯვებული უნდა გამოევლინა, დამარცხებულს ჩემოდნის ჩალაგება და შინისკენ გამგზავრება მოუწევდა.*

# გაცხვარებული ლომები და გალომებული გერმანელები

## ვინის სკალპი, ოქროსთავიანი პისტოლეტი, პოლის ერთპფენინგიანი, სენიორ ტომატო და სხვა

**დიდი მატჩი** არც მსაჯის სასტარტო ჩასტვენით იწყება და, მით უმეტეს, არც საფინალო ჩასტვენით მთავრდება. ახლაც ასე იყო — ბრძოლა ჯერ კიდევ წინა ხუთშაბათს დაიწყო, როცა კამერუნმა საუდის არაბეთს მოუგო და ქულებით გერმანიას გაუთანაბრდა. კამერუნ — საუდეთის მატჩის დასრულებიდან სამიოდ საათში გამოსული „ბერლინერ ცაიტუნგის“ სპეციალური, სამსოფლიოსჩემპიონატო დამატების პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: „ჩვენ თქვენი არ გვეშინია“! თუმცა გაზეთის მეორე გვერდიდანვე ჩანდა, რომ ყველაფერი პირიქით იყო. და რა შეიძლება ეწოდოს იმას, რაც სამშაბათამდე ანუ თამაშის დღემდე გერმანულ პრესაში იწერებოდა? ფსიქოლოგიური ბრძოლა! პირადად ჩემთვის ცოტა გასაოცარიც კი იყო ის, რომ გერმანელები აფრიკელებს ასე უფრთხოდნენ. ამის მიზეზად გაზეთები კამერუნის ნაკრების სიძლიერეს, განსაკუთრებით აფრიკის ჩემპიონობას ასახელებდნენ, თუმცა ყველაზე მეტად მაინც კამერუნელთა მთავარი მწვრთნელის, ასევე გერმანელი ვინი შეფერის ეშინოდათ. ცხადია, ამ კაცს თითოეული გერმანელი ფეხბურთელის ავანჩავანი ძალიან კარგად მოეხსენებოდა. გარდა ამისა, არც ის ავიწყდებოდათ, რომ შეფერს შურისძიება ეწადა.

„ვინის აქ უსამართლოდ მოექცნენ, იგი მთელმა გერმანულმა საზოგადოებამ აითვალწუნა, შტუტგარტიდანაც ტყუილად გაუშვეს. ამიტომაც, ძალიან მინდა დღეს კამერუნმა მოიგოს, სულით და გულით ვუგულშემატკივრებ, მინდა ჩემმა ქმარმაც გაიხაროს. თუმცა არც ის მავიწყდება, რომ დღეს თუ გავიმარჯვეთ, ქუჩაში სიარული დაცვის თანხლებით მომიწევს“ — აღნიშნა მატჩის წინ ვინი შეფერის მეუღლე ანჟელიკამ.

გერმანელები გაალიზიანა შეფერის მიერ ფიფას სახელზე გაგზავნილმა საპროტესტო წერილმაც. მატჩისწინა დღეს, სტადიონ „შიზუოკაზე“ ვარჯიში, ცხადია, ორივე გუნდს სურდა. ორგანიზატორებმა უარი არც ერთს უთხრეს, გერმანელების ვარჯიში კი იმ დროს დანიშნეს, რომელ საათზეც უნდა დაწყებულიყო მეორე დღეს შეხვედრა. შეფერმაც ფიფას მიმართა, ევროპელებს პრივილეგიებს რატომ აძლევთო, პროტესტმა გაჭრა, გერმანელთა ვარჯიში უფრო ადრე გადმოიტანეს.

ამის გარდა, განხეთქილება მოხდა ბუნდესნაკრებში. ოლივერ ბირჰოფმა ფიოლერი გააკრიტიკა, ვითომ იანკერი რითი მჯობია, ორ მატჩში ცენტის საქმე არ გაუკეთებია, თანაც მეტოქისთვის მე უფრო საშიში ვარ, ამიტომაც ძირითადში ადგილი მე მეკუთვნისო. ამაზე ფიოლერის რეაქცია ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ძირითადში კვლავაც იმას ვათამაშებ, ვისაც საჭიროდ ჩავთვლიო, თქვა მწვრთნელმა.

ამას დაემატა მთავარი იმედის, იუბილარ მიროსლავ კლოზეს მუხლის ტრავმა. კლოზეს 24 წელი კვირას, 9 ივნისს შეუსრულდა და ფიოლერმაც ფეხბურთელებს ერთი კათხა ლუდის დალევის უფლება მისცა. ვერ გეტყვით რა აჩუქეს კლოზეს მეგობრებმა, მაგრამ ყველაზე კარგი საჩუქარი მას, თამამად შეიძლება ითქვას, ექიმებმა მოუმზადეს, რომლებმაც ტკივილები ორ დღეში დაუამეს.



გერმანელებმა რუდი ფიოლერს ქება-დიდება არ დააშლეს, ვინი შეფერს კი უმოწყალოდ დასცინეს

ყოველივე ამის ფონზე გერმანელთა შიში კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა თამაშის დღეს სადღაც გაქრა. „დღეს ვინი უნდა გავპარსოთ“! „თქვენ ლომები უნდა მოათვინიეროთ“! „რუდი, ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს“! — ამხნევებდნენ ბუნდესნაკრებს გაზეთები.

გერმანია — კამერუნის მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია ZDF გადასცემდა. ბერლინის ცენტრში, ულამაზეს პოტსდამის მოედანზე მოწყობილ სტუდიაში ტრადიციულად ოტო რეჰაგელი მიეწვიეთ. თამაშამდე მას პროგნოზსაც დაეკითხნენ და „მეფე ოტომაც“ დაუფიქრებლად უპასუხა, დარწმუნებული ვარ, 2:0 მოვიგებთო. რეჰაგელის პროგნოზი კომენტატორს შეხვედრის 40-ე წუთზე გაახსენდა, როცა ევროპელებს კარსტენ რამელო გაუძევეს, საინტერესოა, ახლა რას ფიქრობსო. ამის გარდა მატჩის წამყვანს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატებთან მატჩიც მოაგონდა და სასოწარკვეთილი ხმით აღნიშნავდა, რომ მაშინ გერმანელებს ვიორნსის გაძევება 0:3 მარცხად დაუჯდათ.



გერმანელებმა ბუნდესნაკრების იწამეს

თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად დასრულდა, რეჰაგელს სულ ტაში უკრეს და აწი პროგნოზებს შენს გარდა არავის დავეკითხებითო, დაპირდნენ.

გერმანული პრესა კი დითირამბებით გაივსო. „ვინის სკალპი ჩვენია“! — წერია დიდი ასოებით „ბილდის“ პირველ გვერდზე. „თქვენ ნამდვილი ლომები ხართ“ — ასეთი წარწერა ამშვენებს „ბერლინერ ცაიტუნგის“ პირველ გვერდს. „მირო ოქროსთავიანი“ — ასე დაასათაურა კლოზესთვის მიძღვნილი სტატია იმავე „ბილდმა“. ხოტბას არც სხვა გაზეთები აკლებენ. ხოტბა ხოტბად და ახლა რუდი ფიოლერისგან მხოლოდ ერთ შეღავათს ითხოვენ — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს.

ფიოლერისა და ნაკრების ქებას, ვინი შეფერის მასხარად აგდებაც მოჰყვა. „ბილდმა“, მაგალითად, კამერუნელთა თავკაცის ფოტომონტაჟი დაბეჭდა, გადაპარსულთავიანი შეფერი სახელიანი იტალიელი არბიტრის, პიერ-ლუიჯი კოლინას ალი-კვალია. მისი ფაფარივით თმა კი რუდი ფიოლერს მოარგო. ეს ფოტო პირველ გვერდზე დაიბეჭდა, რომელსაც, შეგახსენებთ, სათაურად „ვინის სკალპი ჩვენია“ ამშვენებს.

სათაურებად რომ ასეთი რამეებია, შიგნით რაღა ეწერებაო, იტყვით და, მართლებიც იქნებით. აი, მაგალითად იგივე „ბილდი“ ავიღოთ:

„ვინის აფრიკის ჩემპიონმა ჯადოქრებმა ბურთის ფლობით კი გვაჯობეს, მაგრამ ამით ვერაფერი იხეირეს, ანაც როდის იყო გაცხვარებული ლომი ვინმეს რამეს აკლებდა?“ იმავე სტატიაში ცინიკურად აღნიშნავენ, კარგი იქნება თუ ვინი და მისი „ლომები“ შაბათს ტელევიზორებს მიუსხდებიან, ნამდვილ ლომებს იქ ნახავენო, შეგახსენებთ, შაბათს გერმანიის ნაკრებს მერვედფინალი ელის.

ახლა გერმანელთა ქებაზეც ვთქვათ. „დღეს გუნდური სული დავინახეთ, სული, რომელიც გერმანიის ნაკრებს რამელოს გაგდებამ შთაბერა. 1998 წელს ხორვატიასთან ვიორნსის გაძევებამ თამაში წაგვაგებინა. კამერუნთან კი 11 ფეხბურთელი 10 მეომრად იქცა, მე-40 წუთმა გუნდი გამოაღვიძა“ — ასე აფასებს „ბილდი“.

„ეს იყო საოცრება. რუდის ბიჭებმა შეფერი და მისი კამერუნელები გაპარსეს. საწყალო კამერუნელებო, თქვენ გყავთ ვინი, ჩვენ გამარჯვებულები.

შეშლილი თამაში იყო, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, როცა ჩვენები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, განსაკუთრებით ბაიერნელი ლინკე ცდებოდა. კამერუნელებსაც ერთმანეთზე უკეთესი შანსი ეძლეოდათ, მაგრამ ბედად ჩვენ ჯადოქარი კანი გვყავდა. მერე კი იყო, რამელოს გაძევება და მეორე ტაიმი, როცა გერმანიის ახალი გუნდი დაიბადა. 2:0 და ეს ყველაფერი ათი კაცით. ეს ფანტასტიკაა!“ — წერს „ბერლინერ ცაიტუნგი“.

ცალკე სტატიებს უძღვნიან ოქროსთავიან მიროსლავ კლოზეს, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს და, ალბათ, ჯერჯერობით საუკეთესო ფეხბურთელსაც. კამერუნთან გამარჯვების სულისჩამდგმელი სწორედ ის გახლდათ. „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელი, რომელსაც ოქროსთავიანის გარდა ახალი მეტსახელიც მოუგონეს — გერმანული პისტოლეტი.

„ასეთი თავდამსხმელი დიდი ხანია აღარ გვყოლია. მირო ორივე ფეხით უხადოდ თამაშობს, აი, თავით თამაში კი ცოტა დასახვეწი აქვს — ხუმრობს რუდი ფიოლერი და იქვე ამატებს, ბადალი არც თავით თამაშში მოეძებნება“.

მართალია მწვრთნელი, ჯერ ერთი, რომ კლოზემ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ახალი რეკორდი დაამყარა, აქამდე თავით ხუთი გოლი არავის გაუტანია, ამას გარდა პირველი გოლისას, შესანიშნავი ტექნიკა გამოავლინა, ოთხი კამერუნელის გარემოცვაში ბრწყინვალე პასით ბოდე მეკარეს შეატოვა და ამასაც გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა. თუმცა გერმანელები ერთმა ფაქტმა გააკვირვა, როგორც წესი, კლოზე გატანილ გოლს მალაყით აღნიშნავს, კამერუნთან კი იგივე არ გაუკეთებია. „ისეთი გახარებული ვიყავი, მალაყი არც გამხსენებია“ — ასე ახსნა ბომბარდირმა ეს ფაქტი, ჟურნალისტებმაც, კიდევ კარგი დაავიწყდა, თორემ ეგებ ტრავმა გაემიზეზებინაო, აღნიშნეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ გერმანელთა გამარჯვებას გაზეთი „ბილდი“ და მისი ფოტოგრაფი ანდრეას პოლიც იბრალებენ. გერმანიაში ერთ პფენინგიანი დიდი ხანია ბედნიერების მომტანად ითვლება. ჰოდა, პოლსაც ერთი პფენინგი მატჩის დაწყების წინ იმ კარის უკან დაუგდია, რომელშიც პირველ ტაიმში ოლივერ კანი იდგა. სწორედ იმ კართან ჰქონდათ კამერუნელებს რეალური მომენტები, მაგრამ ვერცერთი გამოიყენეს. სამაგიეროდ, ბოდემ და კლოზემ გაიტანეს. როგორც ჩანს, ერთ პფენინგიანს უფრო მეტი ძალა ჰქონია, ვიდრე სხვადასხვა მაგიურ რიტუალებს. ვიდრე გერმანელები მინდორზე კამერუნელ ლომებს აცხვარებდნენ, აფრიკელთა რამდენიმე ქომაგი ტრიბუნაზე ჯადოქრობდა — სპეციალური მაგიური ნივთიერებებითა და ხელსაწყოებით მისულნი ლოცულობდნენ და მაგიურ რიტუალებსაც ასრულებდნენ, მაგრამ ამით კამერუნს ვერაფრით უშველეს.

მატჩის დასრულების მერე „ბილდის“ ფოტოგრაფს მინდორზე დაბრუნება და ხურდის აღება მოუსურვებია, რასაც სტადიონის უსაფრთხოების თანამშრომელთა წინააღმდეგობა მოჰყოლია, თუმცა პოლი მკითხველებს არწმუნებს, იმ მონეტის გარეშე ფეხს სტადიონიდან აბა, როგორ გამოვადგამდითო. ანდრეას პოლს ეშმაკობით მინდორზე მაინც შეუღწევია და ერთპფენინგიანიც უპოვია. ასე რომ, გერმანელებს საფრთხე არც მერვედფინალში ემუქრებათ. ისე, მართალია, მერვედფინალში გაალწიეს, მაგრამ ფრანგების, ურუგვაის, კამერუნის და საუდის არაბეთის მსგავსად ჩემოდნების ჩალაგება გუშინ ბუნდესნაკრებსაც მოუხდა, თუმცა ამ ოთხეულისგან განსხვავებით გერმანელები სამშობლოში არ დაბრუნებულან, იაპონიიდან სამხრეთ კორეაში გადაბარგდნენ. სწორედ აქ ელით შემდეგი მატჩი. რუდი ფიოლერი და მისი შეგირდები, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდნენ, იქ მათ მყუდროებას მხოლოდ შენობის ეზოს აუზში მხტომარე ოქროს თევზები დაარღვევენ. ამ სასტუმროში გერმანელებს 56 ნომერი შეუკვეთავთ, თითოეული ნომრის ფასი კი დღე-ღამეში 250-დან 600 ევრომდეა. ფეხბურთელთა განკარგულებაში იქნება საკონფერენციო დარბაზი, საუნა, ჩოგბურთის კორტები, სპეციალური გასართობი დარბაზი და ბარიც, სადაც მრავალი ძვირადღირებული სასმელი მოიპოვება, მაგალითად, ერთი ბოთლი შოტლანდიური ვისკის ყიდვა 700 ევროდაც შეიძლება. ვისაც ფასი ეძვირა, ვეტყვი, რომ ვისკი 30 წლის წინაა ჩამოსხმული და თუ მაინც ეძვირება, მაშინ სასტუმროს მისამართს ვეტყვი და პროტესტით მის მეპატრონეს მიმართოს, სასტუმრო „პარადიზი“ (რაც ქართულად სამოთხეს ნიშნავს) კუნძულ ჯეჯუზეა გაშენებული. ამ ფეშენებელურ სასტუმროში განცხრომა უკვე მოასწრეს რონალდომ და ზიდანმა. იმ ნომერში, სადაც რუდი ფიოლერი იცხოვრებს, უკვე შეაღწია „ბილდის“ ჟურნალისტმა მათიას ბრუგელმანმა. იგი ლოგინზეც წამოწოლილა და ახლა ამბობს, ეს საწოლი პირდაპირ მისწრება შემადგენლობაზე ფიქრისთვის და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებისთვისო. ასე რომ, ნომერი ზედგამოჭრილია ფიოლერისთვის.

მოგეხსენებათ, კამერუნელებთან მატჩში უხვად ჩამორიგებული წითელ-ყვითელი ბარათების შედეგად გერმანელებს მერვედფინალში რამელო, ჰამანი და ციგე არ ეყოლებათ. ფიოლერსაც, ფაქტობრივად, ახალი ნახევარდაცვის ჩამოყალიბება მოუწევს. ამასთან დაკავშირებით ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ეგ ამბავი არც ისე ძნელია, მე რომ რუდის ადგილას ვიყო, ჰამანს იერემისით შევცვლიდი, ციგეს ბოდეთი, რამელოს კი რემერითო, თუმცა ისიც დაამატა, რემერს დიდი ხანია არ უთამაშია და ამიტომ ვერ გეტყვით როგორ ფორმაშიაო. „კაიზერ ფრანცმა“ ისიც დაამატა, დარწმუნებული ვარ, რუდი ყველაფერს სწორად გააკეთებსო. ბოლოს კი გერმანელთა ირონიის კიდევ ერთ ობიექტზე ვთქვათ. შეფერის ბედი გაიზიარა სამშაბათის მატჩის არბიტრმა, ესპანელმა ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტომ. თუ კი შეფერი „ბილდმა“ თავგადაპარსული დაბეჭდა, ესპანელ არბიტრს თვალებზე პომიდვრები დაახატა და დაწერა, შენ, ლოპეს ნიეტო კი არა, სენიორ ტომატო უნდა გერქვასო (ტომატო გერმანულად პომიდორს ნიშნავს). „ბილდს“ კვერს იგივე ბეკენბაუერიც უკრავს, მაგ ოჯახაშენებულს თუ რეკორდის გაუმჯობესება და ისტორიაში შესვლა უნდოდა, 14 ყვითელ ბარათზე მაინც გაჩერებულიყო, უკვე რეკორდი იყოო. ნიეტომ კი სხვაგვარად განსაჯა და თექვსმეტჯერ გაიკრა ჯიბეზე ხელი. ამ 16 ყვითელი ბარათიდან ორორი რამელოსა და სუფოს უჩვენა და, შესაბამისად, მინდორიც დაატოვებინა.

„რამელოსთვის მიცემული ყვითელ-წითელი აბსოლუტურად სამართლიანი იყო, აი, დანარჩენი კი გადამეტებული. ყოველ შეხებაზე და წვრილ დარღვევაზე გაფრთხილება ვის გაუგია? ნუთუ ეგ ესპანეთში წლის საუკეთესო არბიტრად დაასახელეს? რა უნდა მას საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე? ეგ მსაჯი კი არა ნამდვილი სასალათე პომიდორია“ — წერს „ბილდი“.

„ასეთი მსაჯობა ჯერ არ მინახავს. ნუთუ მაგან კიდევ უნდა იმსაჯოს?“ — გაკვირვებულია წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი და „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე. ბეკენბაუერი კი ამატებს, ყოველივე ამის მერე, რასაც ნიეტო და კოლინა, ეს სახელოვანი ევროპელი მსაჯები აკეთებენ, ეგზოტიკური ქვეყნების წარმომადგენლების წინააღმდეგ, ენა როგორ მომიბრუნდებაო.

მსაჯზე წერას „ბილდი“ ასე ასრულებს: „გვეგონა, ბუნდესლიგაში უკვე ყველაფერი ნანახი გვქონდა, მაგრამ ნიეტოსთან შედარებით ბუნდესლიგელი ტომატოები უდანაშაულო კრავები ყოფილან“!

ბოლოს კი დავძენ, რომ გუშინდელი ინფორმაციით, ლოპეს ნიეტო იმ 12 მსაჯთაგან ერთ-ერთი იქნება, ვისაც კვირის ბოლოს სამშობლოსკენ მოუწევს გამგზავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 12 ივნისი

# დილა ტანგოს გარეშე

დიდი, მგუდავი პითონი, სახელად არგენტინა, მძინარე პითონი აღმოჩნდა და ვერაფერი დაუპირისპირა ორ კარგად ნასწავლ ევროპულ გუნდს.

უფრო სწორად, მარსელო ბიელსა ცდილობდა ევროპელთათვის ის დაეპირისპირებინა, რაც ევროპელებმა მოიგონეს და რაც მათ არგენტინელებზე კარგად შეუძლიან აკეთონ. ამისთვის ბიელსას საჭირო ხალხი ჰყავდა. ევროპულ კლუბებში ნაწრთობი დამანგრევლები, ხისტი, ჭკვიანი და კარგად მომზადებული ფეხბურთელები. არგენტინის ნაკრებმა სულ ორი გოლი გაუშვა სამ მატჩში და არც ერთი უშუალოდ თამაშიდან, მხოლოდ სტანდარტულიდან: ბექჰემის პენალტი და სვენსონის ჯარიმა.

მაგრამ წინ არგენტინამ ვერაფერი შექმნა. ბატისტუტა ისეთივე უსიცოცხლო იყო, როგორიც ფლორენციაში მდგომი მისი ძეგლი. არგენტინას არ ჰყავდა თავდასხმა და არ ჰყავდა კაცი, რომელიც ნაპერწკლიანად დაეხმარებოდა ამ თავდასხმას.

ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბიელსას გუნდის სტილი, მაგრამ ის, რასაც ბიელსა ათამაშებდა თავის გუნდს, შესარჩევი ტურნირიდანვე ცხადი იყო. გოლების უმრავლესობა იმ ტურნირში არგენტინამ ფლანგებიდან ჩაწოდებული ბურთების ანუ კროსების შედეგად გაიტანა. ლათინურ ამერიკაში, სადაც არც უყვართ და ხშირად არც იციან თავით თამაში, მტკიცე დაცვასთან ერთად მოქმედი ამგვარი შეტევა დიდ უპირატესობას აძლევდა არგენტინელებს, აქ კი ინგლისელთა და შვედთა წინააღმდეგ ამგვარი რამ არ გავიდა. არგენტინელებმა ვერავის შეუგდეს იმ ყაიდის გოლი, ნიგერიელებს რომ გაუტანეს.

ცალკე ამბავი ისიც არის, რომ გუნდის მთავარ შემოქმედ ხუან ვერონს წლეულს თამაში არ ჩაუმთავრებია ისე, რომ გეთქვა, აჰა, ვერონი მართლაც ფორმაშიაო. პოხო ლოპესიც ამართლებდა თავის მეტსახელს და „ლაციოს" გრძელ სკამზე მიმალული რწყილივით შეუმჩნეველი იყო, ბატისტუტა კი ხომ ისედაც აჩრდილია. სამწუხაროა, რომ არგენტინელებმა ვერ მოძებნეს ფორვარდი, კრესპოსა და ბატისტუტაზე უკეთ რომ ითამაშებდა.

მარსელო ბიელსა, მეტსახელად გიჟი, მართლაც ძალიან ნერვიულობდა და მისი ცქერა ფეხბურთისადმი სრულიად გულგრილ კაცსაც აღელვებდა, მაგრამ მისი სიმკაცრე და პრინციპულობა მცდარ შეხედულებებს ეფუძნებოდა. არგენტინამ გაიტანა ბევრად ცოტა, ვიდრე ურუგვაიმ, უფრო ცოტა, ვიდრე პარაგვაიმ, რომ არაფერი ვთქვათ ბრაზილიაზე. ამ გაზაფხულზე ამ გუნდების არგენტინელთა გვერდით ხსენება ღიმილს გამოიწვევდა, რადგან არგენტინელებს თანასწორი მეტოქე არ ჰყავდათ კონტინენტზე.

რა თქმა უნდა, არგენტინა სიკვდილის ჯგუფში იყო, მაგრამ ის ამ ჯგუფის და მთელი ჩემპიონატის ფავორიტი გახლდათ. ბიელსას მით უფრო მეტი უნდა ეფიქრა. უნდა მიმხვდარიყო, რომ აქ წინასწარ გაჩვეული მეთოდები წარმატებას ვერ მოგიტანს. მაგრამ ბიელსა იმდენად იყო საკუთარი შეხედულებების ტყვეობაში, რომ აუცილებლად მოსაგებ თამაშშიაც კი არ გამოიყვანა ორი მეგოლე თავდამსხმელი, რომელთაგან ერთ-ერთს, ბატისტუტას, საერთოდ არ ენდობოდა, ბოლოს კი ენდო.

ბიელსამ ჩემპიონატზე არ წაიყვანა ახლა ალბათ საუკეთესო არგენტინელი ფეხბურთელი რომან რიკელმე, რომელსაც სისწრაფე და სირბილი დაუწუნა. ეგებ საკვირველია, მაგრამ არგენტინის ნაკრები სულაც არ იყო ისეთი სწრაფი, რიკელმე რომ ვერ მორგებოდა. ბიელსამ რიკელმეს ამჯობინა ვერონი და პაბლო აიმარი და ნდობის საკითხში ეგებ მართალიც იყო, მაგრამ რას დააშავებდა უსიხლო თავდასხმის ფონზე ეშმაკი და მოქნილი ხავიერ სავიოლა, ძნელი სათქმელია. ანდა, თუ მიგყავს კანიჯა, რატომ ზის სკამზე, იმიტომ რომ მოედანზე გაუსვლელად გააძევონ?

არგენტინამ ვერ შეცვალა და ვერ გააუმჯობესა თამაში და საერთოდაც, ვარსკვლავებით და ნახევრადვარსკვლავებით გამოჭედილი არგენტინის ნაკრები ძალიან ჰგავდა იმ არგენტინის ნაკრებს, 1974 მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გამოირჩეოდა რუბენ აიალას თმით. ბიელსას როტაციაც უფერული აღმოჩნდა.

ამ გუნდის სიმბოლო კი არიელ ორტეგა იყო — სულით ხორცამდე ფეხბურთელი, რომელიც სამოცდაათიანი წლებიდან, მენოტიმდელი არგენტინიდან გადმოვარდა ჩვენს ეპოქაში.





შვედეთთან თამაშის მერე არგენტინელებმა თავიც დახარეს და დროშაც

რახან მენოტი ვახსენეთ, მისი სიტყვებიც მოვიშველიოთ: „ჩვენი ფეხბურთი ტანგოს ჰგავს. ჩვენი თამაშის მთავარი კოზირი არგენტინულ ხასიათში ჩაბუდებული თვისება, დაუძაბაობა გახლავთ. ამ დაუძაბაობას წესრიგი უნდა შემატო და მაშინ არგენტინული ფეხბურთი იმარჯვებს."

ბიელსას არგენტინა არ იყო ტანგო. ის ზედმეტად დაძაბულიც იყო, მხოლოდ წესრიგით კი ევროპელებს ვერაფერს დააკლებ.

ასე გამოეთხოვა მსოფლიოს ჩემპიონატს მთავარი ფავორიტი.

დიეგო მარადონა ალბათ აღარ ჩავა მსოფლიოს ჩემპიონატზე, პელე კი ალბათ მოგვიანებით აპირებდა აზიისკენ გამგზავრებას, მაგრამ გუშინწინ, 60 წლის ფეხბურთის მეფე სან პაულუს ერთ-ერთ კლინიკაში გააქანეს.

პელე ალერგიის შეტევით გამხდარა ცუდად და ეგრეც ვერ დაუდგენიათ, რა ყოფილა ამ ალერგიის გამომწვევი მიზეზი, მაგრამ პელეს პირადი ექიმი სერჟიო დუ კარმუ ჯორჯე კმაყოფილი დარჩენილა პაციენტის კომპიუტერული გამოკვლევის შედეგებით. ესაა მხოლოდ, რომ პელესთვის უთქვამს, წონაში უნდა დაიკლო, ზოგიერთ ჩვევას უღალატო და ცხოვრების სტილიც გამოიცვალოო.

ჩვენთვის უცნობია პელეს ჩვევები, ცხოვრების სტილიდან კი ის ვიცით, რომ ძალიან ხშირად ზის თვითმფრინავში და ათასგვარ შეხვედრა-პრეზენტაციებზე დაიარება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ჯერჯერობით უცნობია, გაემგზავრება თუ არა უეცარი შეტევით გრაფიკარეული პელე ბრაზილიის ნაკრების საქომაგოდ. ისე კი, აბა, რომელი მსოფლიოს თასი ჩაივლის პელეს გარეშე.

იაპონელებთან წაგებული მატჩის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ბნელმა ძალებმა მოსკოვის შუაგული მოარბიეს, რუსთა პარლამენტ-გოსდუმის ნაკრები იაპონიას გაფრინდა და იქაურ დეპუტატთა გუნდს ამხანაგური მატჩი გაუმართა ტოკიოს ერთ-ერთ სტადიონზე და 11:0 მოუგო.

ეს იქით იყოს და, თუ კარგად გამოთვლით, შვედეთის მოზომილი ნაკრები ეგებ ნახევარფინალშიაც აღმოაჩინოთ, ინგლისელებმა კი რთულ გზებს მაინც ვერ აუქციეს გვერდი, ბევრი იწუწუნეს ოსაკაში დაბუდებულ ცუდ და უჩვევ კლიმატზე და ნიგერიის რეზერვისტებთან ძირითადი შემადგენლობით იზოზინეს, რითაც სენეგალელებს კი არა, დანიელებს უნდა შეებან ზეგ. ესეც არის, რომ შვედის შეგირდებს ყველაზე ცოტა დრო აქვთ მეოთხედფინალისთვის მოსამზადებლად.

„შანსები გვქონდა, მაგრამ გოლები შაბათისთვის შემოვინახეთ" — თქვა ერიკსონმა.

რაულს კი გახარებია, რომ საფრანგეთის ნაკრები ჩემპიონატს გამოეთხოვა, რაც მეტი ფავორიტი წავა აქედან, ჩვენ მით უფრო გაგვიადვილდება მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაო. ესპანელებმა თავისი არ დაიშალეს. ხოსე ლუის ჩილავერტი და მისი ამხანაგები კი ჩემპიონატზე რჩებიან, რასაც, მე თუ მკითხავთ, მეორე ტაიმში შემოსულ ნელსონ კუევასს უნდა უმადლოდენ. თუმცა პარაგვაელებმა ლამის მთელი თამაში ათი კაცით ითმეს და დაუფასლდათ კიდეც. ჩილავერტმა კი უკვე ძელს წაუცაცუნა ბურთი, რაც ოლივერ კანმა კარგად უნდა დაიხსომოს და ყურადღებით შეხვდეს პარაგვაელი ზორზროხას შორეულ დარტყმებს...



ინგლისელებს კორეა-იაპონიაში გულმხურვალე ქომაგობა არ აკლიათ



ხოსე ლუის ჩილავერტისა და სელსო აიალას სიხარულს
ბოთლი წყალი კი არა, სახანძრო მანქანა ვერ გაანელებდა

საგანგებო ლოზუნგი
დააკვირდით მსოფლიოს რუკას!

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფინეთი. მე-10 ტური | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20.30 | 050 | ალიანსი-იარი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.30 | 051 | ჰამეენლინა-კუპსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.30 | 052 | ინტერი-ჰაკა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 053 | ლაჰტი-ვპსი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 054 | მიუპა-ტამპერე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.30 | 055 | ვაასა-ჰკ | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 05.00 | 522 | დეტროიტი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 4,4 | | | |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 9,0 | 2,7 | 1,5 | 2,05 | 1,25 | 1 |
| 11.30 | 142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 16.30 | 143 | მექსიკა-იტალია | 7,5 | 3,5 | 1,45 | 2,35 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 144 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 3,8 | 1,5 | 2,25 | 1,15 | 1,05 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 145 | ტუნისი-იაპონია | 6,0 | 3,2 | 1,6 | 2,05 | 1,25 | 1,05 |
| 11.30 | 146 | ბელგია-რუსეთი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,4 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 147 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.30 | 148 | პოლონეთი-აშშ | 4,2 | 2,9 | 1,9 | 1,7 | 1,3 | 1,1 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 149 | გერმანია-პარაგვაი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 16.30 | 150 | დანია-ინგლისი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 151 | შვედეთი-სენეგალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 16.30 | 152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 1041 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 6,5 | 2,2 | 1,85 |
| 11.30 | 1042 | თურქეთი-ჩინეთი | 1,5 | 2,8 | 8,0 |
| 16.30 | 1043 | მექსიკა-იტალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| 16.30 | 1044 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 2,3 | 1,85 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 1045 | ტუნისი-იაპონია | 6,5 | 2,1 | 2,0 |
| 11.30 | 1046 | ბელგია-რუსეთი | 3,3 | 2,1 | 2,8 |
| 16.30 | 1047 | პორტუგალია-კორეა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 16.30 | 1048 | პოლონეთი-აშშ | 3,6 | 2,1 | 2,5 |
| | | 15 ივნისი | | | |
| 11.30 | 1049 | გერმანია-პარაგვაი | 2,2 | 2,1 | 4,7 |
| 16.30 | 1050 | დანია-ინგლისი | 4,0 | 2,2 | 2,3 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 11.30 | 1051 | შვედეთი-სენეგალი | 2,7 | 2,1 | 3,4 |
| 16.30 | 1052 | ესპანეთი-ირლანდია | 2,1 | 2,1 | 5,3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 2941 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2942 | თურქეთი-ჩინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2943 | მექსიკა-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2944 | ეკვადორი-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 2945 | ტუნისი-იაპონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2946 | ბელგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2947 | პორტუგალია-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2948 | პოლონეთი-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 15 ივნისი | | | |
| 11.30 | 2949 | გერმანია-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2950 | დანია-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 11.30 | 2951 | შვედეთი-სენეგალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2952 | ესპანეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რა ეტაპზე გავა გუნდი

| | ჯგუფში დარჩება | | 1/8 ფინალი | | 1/4 ფინალი | | ჩემპიონი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3101 | 1,0 | 3201 | 1,0 | 3301 | 1,0 | 3601 | 1,0 |
| ბრაზილია | 3102 | 1,0 | 3202 | 1,0 | 3302 | 1,0 | 3602 | 3,5 |
| იტალია | 3103 | 1,7 | 3203 | 1,4 | 3303 | 1,0 | 3603 | 4,0 |
| საფრანგეთი | 3104 | 1,0 | 3204 | 1,0 | 3304 | 1,0 | 3604 | 1,0 |
| ინგლისი | 3105 | 1,0 | 3205 | 1,0 | 3305 | 1,35 | 3605 | 4,4 |
| გერმანია | 3106 | 1,0 | 3206 | 1,0 | 3306 | 1,35 | 3606 | 7,0 |
| ესპანეთი | 3107 | 1,0 | 3207 | 1,0 | 3307 | 1,35 | 3607 | 5,0 |
| პორტუგალია | 3108 | 1,5 | 3208 | 1,6 | 3308 | 1,0 | 3608 | 15,0 |
| კამერუნი | 3109 | 1,0 | 3209 | 1,0 | 3309 | 1,0 | 3609 | 1,0 |
| ნიგერია | 3110 | 1,0 | 3210 | 1,0 | 3310 | 1,0 | 3610 | 1,0 |
| პარაგვაი | 3111 | 1,0 | 3211 | 1,0 | 3311 | 2,8 | 3611 | 50,0 |
| შვედეთი | 3112 | 1,0 | 3212 | 1,0 | 3312 | 1,45 | 3612 | 30,0 |
| რუსეთი | 3113 | 2,1 | 3213 | 1,25 | 3313 | 1,0 | 3613 | 75,0 |
| პოლონეთი | 3114 | 1,0 | 3214 | 1,0 | 3314 | 1,0 | 3614 | 1,0 |
| ურუგვაი | 3115 | 1,0 | 3215 | 1,0 | 3315 | 1,0 | 3615 | 1,0 |
| ირლანდია | 3116 | 1,0 | 3216 | 1,0 | 3316 | 2,8 | 3616 | 40,0 |
| ხორვატია | 3117 | 1,5 | 3217 | 1,45 | 3317 | 1,0 | 3617 | 50,0 |
| ბელგია | 3118 | 1,25 | 3218 | 2,1 | 3318 | 1,0 | 3618 | 50,0 |
| დანია | 3119 | 1,0 | 3219 | 1,0 | 3319 | 2,6 | 3619 | 30,0 |
| იაპონია | 3120 | 4,4 | 3220 | 1,01 | 3320 | 1,0 | 3620 | 40,0 |
| მექსიკა | 3121 | 1,5 | 3221 | 1,2 | 3321 | 1,0 | 3621 | 50,0 |
| თურქეთი | 3122 | 1,1 | 3222 | 1,45 | 3322 | 1,0 | 3622 | 75,0 |
| ს.აფრიკა | 3123 | 1,0 | 3223 | 1,0 | 3323 | 1,0 | 3623 | 1,0 |
| ეკვადორი | 3124 | 1,01 | 3224 | 6,0 | 3324 | 1,0 | 3624 | 999,0 |
| სლოვენია | 3125 | 1,0 | 3225 | 1,0 | 3325 | 1,0 | 3625 | 1,0 |
| კორეა | 3126 | 1,7 | 3226 | 1,35 | 3326 | 1,0 | 3626 | 50,0 |
| აშშ | 3127 | 3,0 | 3227 | 1,05 | 3327 | 1,0 | 3627 | 50,0 |
| სენეგალი | 3128 | 1,0 | 3228 | 1,0 | 3328 | 2,2 | 3628 | 30,0 |
| კოსტა რიკა | 3129 | 1,4 | 3229 | 1,1 | 3329 | 1,0 | 3629 | 150,0 |
| ტუნისი | 3130 | 1,01 | 3230 | 4,4 | 3330 | 1,0 | 3630 | 500,0 |
| ჩინეთი | 3131 | 1,0 | 3231 | 1,0 | 3331 | 1,0 | 3631 | 1,0 |
| საუდეთი | 3132 | 1,0 | 3232 | 1,0 | 3332 | 1,0 | 3632 | 1,0 |

## რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

12 ივნისი. 11.30. 3701

A ---------- 7,0
B ---------- 5,0
C ---------- 3,5
D ---------- 8,0
E ---------- 6,0
F ---------- 3,0
G ---------- 3,8
H ---------- 10,0

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 15,0 | 8,0 | 30,0 | 15,0 | 4,2 | 3,0 | 30,0 | 8,0 | 2,0 |
| 11.30 | 1142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,5 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1143 | მექსიკა-იტალია | 12,0 | 10,0 | 20,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 16.30 | 1144 | ეკვადორი-ხორვატია | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1145 | ტუნისი-იაპონია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,2 | 25,0 | 12,0 | 2,2 |
| 11.30 | 1146 | ბელგია-რუსეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1147 | პორტუგალია-კორეა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 16.30 | 1148 | პოლონეთი-აშშ | 6,0 | 8,0 | 20,0 | 7,0 | 4,0 | 3,6 | 20,0 | 8,0 | 3,0 |
| | | 15 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1149 | გერმანია-პარაგვაი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 16.30 | 1150 | დანია-ინგლისი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| | | 16 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1151 | შვედეთი-სენეგალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 16.30 | 1152 | ესპანეთი-ირლანდია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |


# გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7

# მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

# ნებისმიერ ბიუროში


## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

13 ივნისი
11.30 2041 კოსტა რიკა-ბრაზილია ---------- 1,75 ---------- 1,75
11.30 2042 თურქეთი-ჩინეთი ---------- 1,9 ---------- 1,6
16.30 2043 მექსიკა-იტალია ---------- 1,8 ---------- 1,7
16.30 2044 ეკვადორი-ხორვატია ---------- 1,85 ---------- 1,65

14 ივნისი
11.30 2045 ტუნისი-იაპონია ---------- 1,75 ---------- 1,75
11.30 2046 ბელგია-რუსეთი ---------- 1,8 ---------- 1,7
16.30 2047 პორტუგალია-კორეა ---------- 1,85 ---------- 1,65
16.30 2048 პოლონეთი-აშშ ---------- 1,8 ---------- 1,7

15 ივნისი
11.30 2049 გერმანია-პარაგვაი ---------- 1,8 ---------- 1,7
16.30 2050 დანია-ინგლისი ---------- 1,8 ---------- 1,7

16 ივნისი
11.30 2051 შვედეთი-სენეგალი ---------- 1,75 ---------- 1,75
16.30 2052 ესპანეთი-ირლანდია ---------- 1,75 ---------- 1,75

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

12 ივნისი. 11.30. 3801

ევროპა ---------- 1,4
ამერიკა ---------- 2,2
აფრიკა ---------- 25,0
აზია ---------- 30,0

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

15 ივნისი 11.30. 2401

0-2 ---------- 2,2
3-4 ---------- 1,9
5 ან მეტი ---------- 3,3

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **13 ივნისი** | | |
| 11.30 | 2141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2143 | მექსიკა-იტალია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2144 | ეკვადორი-ხორვატია | 1,75 | 1,75 |
| | | **14 ივნისი** | | |
| 11.30 | 2145 | ტუნისი-იაპონია | 1,85 | 1,65 |
| 11.30 | 2146 | ბელგია-რუსეთი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2147 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2148 | პოლონეთი-აშშ | 1,7 | 1,8 |
| | | **15 ივნისი** | | |
| 11.30 | 2149 | გერმანია-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2150 | დანია-ინგლისი | 1,7 | 1,8 |
| | | **16 ივნისი** | | |
| 11.30 | 2151 | შვედეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,75 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **13 ივნისი** | | |
| 11.30 | 2241 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2242 | თურქეთი-ჩინეთი | 1,2 | 4,2 |
| 16.30 | 2243 | მექსიკა-იტალია | 3,4 | 1,3 |
| 16.30 | 2244 | ეკვადორი-ხორვატია | 3,2 | 1,35 |
| | | **14 ივნისი** | | |
| 11.30 | 2245 | ტუნისი-იაპონია | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2246 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2247 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 2,3 |
| 16.30 | 2248 | პოლონეთი-აშშ | 2,3 | 1,65 |
| | | **15 ივნისი** | | |
| 11.30 | 2249 | გერმანია-პარაგვაი | 1,4 | 3,0 |
| 16.30 | 2250 | დანია-ინგლისი | 2,6 | 1,5 |
| | | **16 ივნისი** | | |
| 11.30 | 2251 | შვედეთი-სენეგალი | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2252 | ესპანეთი-ირლანდია | 1,4 | 3,0 |

## I ადგილი ჯგუფში

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ივნისი** | | **13 ივნისი** | |
| **11.30 3003** | | **16.30 3007** | |
| **C ჯგუფი** | | **G ჯგუფი** | |
| ბრაზილია | 1,01 | იტალია | 1,5 |
| თურქეთი | 1,0 | ხორვატია | 3,5 |
| კოსტა რიკა | 9,0 | მექსიკა | 2,3 |
| ჩინეთი | 1,0 | ეკვადორი | 1,0 |
| **14 ივნისი** | | **14 ივნისი** | |
| **16.30 3004** | | **11.30 3008** | |
| **D ჯგუფი** | | **H ჯგუფი** | |
| პორტუგალია | 2,4 | რუსეთი | 4,0 |
| პოლონეთი | 1,0 | ბელგია | 5,0 |
| კორეა | 2,2 | იაპონია | 1,2 |
| აშშ | 1,8 | ტუნისი | 1,0 |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ქავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ქავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# ვიტ ჯორჯიას ჯანი და ყიფიანი დაემატა



გიორგი ყიფიანი „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდა

22 ივნისს, 23 საათზე, თბილისური „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოს გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელგიური „ლოკერენის“ წინაღდეგ დადგება. „დაჯნამზე“ ჩატარებული მატჩიდან კვირის თავზე ვეტერინარები „ლოკომოტივზე“ უმასპინძლებენ ბელგიელებს. თამაში თბილისში 7 საათზე დაიწყება. ორი მატჩის გამარჯვებულს მომდევნო წრეში გერმანული „შტუტგარტი“ ელის.

საინტერტოტოო მზადება „ვიტ ჯორჯიამ“ მაისის ბოლოს დაიწყო. ერთი კვირა ჯანი კარნევალის გარეშე იდინეს ოფლი ფეხბურთელებმა. იტალიელი მოკლევადიანი შვებულებით სამშობლოში იმყოფებოდა და ხუთი დღეა, რაც ვეტერინარებს დაუბრუნდა. ხვალიდან ვიტელები ორჯერად წვრთნაზე და შეკრებაზე გადავლენ. სინიორ ჯანი მოთამაშეების ლევანდელი მომზადების დონით და საქმისადმი დამოკიდებულებით კმაყოფილია. კარნევალის ეიმედება, რომ პირველ ეტაპს წარმატებით გაივლის.

„ვიტ ჯორჯია“ ბელგიაში 20 ივნისს მიემგზავრება. ქალაქ ჰალეში კომფორტული სასტუმრო და სავარჯიშო მოედანი უკვე დაჯავშნულია. უკან 24 ივნისს ბრუნდებიან ვეტერინარები.

გუნდში სადღეისოდ სამი ახალი ფეხბურთელია, თუმც ერთს ახალი ნაკლებად ეთქმის. ვიტელებს ერთწლიანი განშორების შემდეგ ყოფილი კაპიტანი და შეტევების წარმმართველი გიორგი ყიფიანი დაუბრუნდა, რომელიც იჯარის წესით ისრაელში თამაშობდა, თუმც კონტრაქტით „ვიტ ჯორჯიას“ ეკუთვნოდა.

რაც შეეხება ორ ახალწვეულ მოგვარეს, ლევან და ერეკლე მერებაშვილებს, კლუბმა ერთი ზესტაფონური „მეტალურგისგან“ გადაიბირა, ხოლო მეორე პირველი ლიგის თსუ-ს დაათმობინა.

საინტერტოტოო განაცხადში გუნდის თავკაცებმა 25 ფეხბურთელი შეიყვანეს, სადაც მხოლოდ ერთ ვიტელს ვერ მოიძიებთ. ნახევარმცველი ზურაბ მეტრეველი მუხლის ტრავმის შემდეგ ახლალა იწყებს ვარჯიშს და პირველ მატჩში თანაგუნდელებს ვერაფრით შეეწევა. კლუბის თავკაც გურამ რუხაძის თქმით, უეფაში გაგზავნილი განაცხადი მხოლოდ საპირველეტაპოა და მასში ცვლილებებიც მოსალოდნელია.

**გამუკა ძვანტალიანი**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1 მირზა მერლანი | 06.10.1980 |
| 12 სერგო ქურაძე | 10.07.1977 |
| 25 დავით მამარდაშვილი | 17.10.1977 |
| **მცველები** | |
| 2 დავით იმედაშვილი | 15.12.1984 |
| 3 ლევან მერებაშვილი | 22.02.1979 |
| 4 თენგიზ კობიაშვილი | 03.12.1975 |
| 5 ჯაბა მუჯირი | 07.06.1980 |
| 17 გიორგი კვახაძე | 16.08.1981 |
| 21 ოლეგ გველესიანი | 16.09.1980 |
| 24 ალექსანდრე იმნაიშვილი | 24.08.1981 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6 გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.1983 |
| 7 გიორგი ადამია | 10.03.1981 |
| 9 ლაშა ნოზაძე | 18.03.1980 |
| 13 ზაზა სახოკია | 12.02.1984 |
| 14 დავით დოლიძე | 09.02.1980 |
| 15 ირაკლი მალიჩავა | 03.07.1984 |
| 18 დავით დიღმელაშვილი | 18.01.1980 |
| 20 გიორგი ყიფიანი | 12.08.1978 |
| 23 ბესიკ თედორაძე | 23.02.1982 |
| **თავდამსხმელები** | |
| 8 მიხეილ ცქიფურიშვილი | 17.10.1982 |
| 10 ვლადიმერ გოჩაშვილი | 06.07.1976 |
| 11 ლევან მელქაძე | 12.12.1979 |
| 16 კახა წუწუნავა | 22.09.1981 |
| 19 ერეკლე მერებაშვილი | 27.05.1982 |
| 22 სანდრო იაშვილი | 03.01.1985 |

# რამდენი? რვა?! კოლხეთი დაირღვა

**ფოთის „კოლხეთი“** მეორე გუნდია, ახალი სეზონისთვის მომზადებას რომ შეუდგა. ფოთელთა მწვრთნელმა სოსო ფილიამ, გუშინ განახევრებულ გუნდს მოუყარა თავი.

„ყველანაირი ხელფას-პრემია მეცამეტე ჩემპიონატის დასრულებისთანავე გავუსტუმრეთ ფეხბურთელებს“ — „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ ქოიავას სიტყვებია. დავალიანება გასტუმრებულიაო და ვინც გუნდიდან წასვლა ისურვა, ფოთელებს ხელი არავისთვის შეუშლიათ.

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო და მრავალჭირგამოვლილი მეკარე ზურაბ ქვაჩახია მოსკოვის გზას დასდგომია. საზღვარგარეთ წასვლა დიდი ხანია, გულში ამოუჭრია და ხელი არ შევუშალეთო, გვითხრა ქოიავამ.

ნახევარმცველი ვალტერ გუჩუა ჩემპიონ „ტორპედოს“ დაუბრუნდა, მოგეხსენებათ, ის „კოლხეთში“ განათხოვრებული იყო.

„ფაზისიდან“ წავიდა მეგოლე ჰამლეტ წივწივაძეც. მას ისრაელის ვარიანტი გამოუჩნდა და შესაძლოა, კარიერაც აღთქმულ მიწაზე გააგრძელოს.

გამოცდილი პლეიმეიკერი კახა კვეტენაძე გუნდიდან არავის გაუშვია, მან თავად ისურვა ფოთიდან აბარგება, არავინ იცის, საით წავა კვეტენაძე, გამოეთხოვება ფეხბურთს თუ ბედის საძებრად საზღვარგარეთს მიაშურებს.

ვცდილობთ, ვალერი ტორჩინავა დავიყოლიოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდისო — წუხს თენგიზ ქოიავა. „კოლხეთის“ კაპიტანს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება განუზრახავს, წლებს თავისი მიაქვს, დავბერდიო. იმავე აზრზე ყოფილა მცველი პაპავაც.

კახი დაუშვილს და გიორგი ჭანტურიძეს „კოლხეთთან“ კონტრაქტები დაუმთავრდათ. ისინი თავისუფლები არიან და ახლა მათი გადასაწყვეტია, სად გააგრძელებენ კარიერას.

მოკლედ, რომ ვთქვათ, „კოლხეთს“ რვა ფეხბურთელი დააკლდა და მათ მწვრთნელ სოსო ფილიას გუნდის გაახალგაზრდავების მეტი არაფერი დარჩენია.

კოლხები 22 ივნისამდე ფოთში მოემზადებიან, მერე ყვავილნარში გადაინაცვლებენ და 4 საკონტროლო მატჩს გამართავენ. როცა გუნდის საბოლოო დაკომპლექტების პროცესი დასრულდება, ფოთელები 5 ივლისიდან ოცდღიან შეკრებაზე ბულგარეთს, ნაცნობ ბურგასს მიაკითხავენ.

**გიორგი მაზაძიძე**

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის ილია რუხაძის შვილის თორნიკე რუხაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

**მსოფლიოს ჩემპიონატია** და ქართველების ამბები როგორღაც ჩრდილში მოექცა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული პირველობები გრძელდება და იქ მოთამაშე ჩვენიანებს მუნდიალისთვის არ სცხელათ.

საშმაბათს ჩემპიონატი დამთავრდა უკრაინაში, გამარჯვებული პირველად გახდა დონეცკის „შახტარი“. იტალიელი ნევიო სკალას გუნდმა კიევის „დინამოს“ ცხრაწლიანი ბატონობა დაამხო და უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში მესამე ჩემპიონი შეიქნა სიმფეროპოლის „ტავრიისა“ და „დინამოს“ შემდეგ.

ირაკლი მოდებაძის ზაპოროჟიას „მეტალურგი“ სამეულში მაინც ვერ მოხვდა, ბოლო ტურში დონეცკელ თანაკლუბელებთან 1:1 ითამაშა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. მოდებაძეს კი კარგი სეზონი გამოუვიდა, ჭაბუკმა ქართველმა გუნდის ძირითადში თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი და რამდენიმე მატჩში თავისიანთაგან საუკეთესოც იყო. მაგალითად ლვოვის „კარპატისთან“ 4:1 მოგებულ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და მწვრთნელ ოლეგ ტარანს ათქმევინა: ძალიან ნიჭიერი ყმაწვილია, ჯერ ჩვიდმეტი წლისაა და ბევრი რამის სწავლა კიდევ დასჭირდება, ხოლო თუ დღევანდელივით გარჯას მოუხშირა, ნამდვილად დიდ ფეხბურთს ითამაშებსო.

ლევან მიქაძის „არსენალი“ ლამის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ბოლო ადგილზე იდგა, მაგრამ გავარდნას მაინც გადარჩა. უმაღლეს ლიგას „ზაკარპატიე“ ტოვებს, მის წინ მდგარი „პოლიგრაფტეხნიკა“ ქვედალიგელ ჟიტომირის „პოლესიესთან“ გადასასვლელ მატჩებს ითამაშებს, „არსენალი“ კი გადარჩა, ბოლოდან მესამეზე გავიდა და

# ტარანმა მოდებაძე შეაქო გიგიაძე მეგოლეებში გაერია

„პოლიგრაფტეხნიკას“ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. გასად უკრაინელები უმაღლეს ლიგას 14-დან 16 გუნდამდე აფართოებენ და ამისდაკვალად სამი გუნდი, ლუცკის „ვოლინი“, ოდესის „ჩორნომორეცი“ და კიევის „ობოლონი“ პირდაპირ აღზევდნენ.

„ყველაზე ქართულმა“ სიმფეროპოლის „ტავრიამ“ კი სეზონი ცხრილის შუაში ჩაამთავრა. ხოლო მათი მთავარი მეგოლე ვასილ გიგიაძე 9 ბურთით ბომბარდირთა მარაქაში გაერია. ყველაზე მეტი (12) კი დონეცკის მეტალურგელმა შიშჩენკომ გაიტანა.

რუსეთის, ოღონდ პირველი დივიზიონის ბომბარდირთა შორისაა რუბინელი დავით ჩალაძეც. დღეისათვის მან ხუთჯერ შეძლო მოწინააღმდეგეთა კარის დალაშქვრა. ეგ არის, ბოლო ტურში „რუბინმა“ სანკტ-პეტერბურგის „დინამოსთან“ წააგო და ლიდერობა დაკარგა.

**სოლომონ ბულისკუზვილი**



ვასილ გიგიაძემ (მარცხნივ) წლეულს ცხრა გოლი გაიტანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:2 | 90 | | 23 | 3 | 9 |
| | ტავრია | შ | კრივბასი 3:2 | 90 | | 24 | 3 | 7 |
| | ტავრია | ს | კარპატი 0:0 | 0 | | 24 | 3 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:2 | 90 | | 22 | 8 | 9 |
| | ტავრია | შ | კრივბასი 3:2 | 90 | 1 გოლი პენ. | 23 | 9 | 7 |
| | ტავრია | ს | კარპატი 0:0 | 0 | | 23 | 9 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:2 | 45 | შეცვალეს | 19 | 1 | 9 |
| | ტავრია | შ | კრივბასი 3:2 | 0 | სათადარიგო | 19 | 1 | 7 |
| | ტავრია | ს | კარპატი 0:0 | 0 | | 19 | 1 | 7 |
| ლევან მიქაძე | არსენალი | ს | მ. დონეცკი 1:2 | 90 | | 22 | 0 | 14 |
| | არსენალი | შ | პოლიგრაფ. 2:0 | 90 | | 23 | 0 | 14 |
| | არსენალი | შ | მეტალისტი 1:1 | 90 | | 24 | 0 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | კრივბასი. 0:0 | 90 | | 11 | 1 | 3 |
| | მ. ზაპოროჟია | ს | კარპატი 4:1 | 84 | 2 გოლი, შეცვალეს | 12 | 3 | 3 |
| | მ. ზაპოროჟია | ს | მ. დონეცკი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 3 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | ვენტსპილსი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 1 | 2 |
| | სკონტო | ს | ვალმიერა 4:0 | 0 | | 10 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვენტსპილსი 2:0 | 38 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 2 | 2 |
| | სკონტო | ს | ვალმიერა 4:0 | 90 | | 8 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენტსპილსი 2:0 | 52 | შეცვალეს | 10 | 1 | 2 |
| | სკონტო | ს | ვალმიერა 4:0 | 62 | შეცვალეს | 11 | 1 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | მეტალურგსი 1:5 | 90 | 1 გოლი | 9 | 1 | 7 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | დინამო 2:3 | 90 | | 10 | 2 | 14 |
| | კრისტალი | ს | ვოლგარი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 2 | 16 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | დინამო 2:3 | 75 | შეცვალეს | 11 | 0 | 14 |
| | კრისტალი | ს | ვოლგარი 0:2 | 27 | შეცვალეს | 12 | 0 | 16 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | დინამო 2:3 | 0 | | 8 | 0 | 14 |
| | კრისტალი | ს | ვოლგარი 0:2 | 0 | | 8 | 0 | 16 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ყუბანი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 1 |
| | რუბინი | ს | დინამო 0:1 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 2 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ყუბანი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| | რუბინი | ს | დინამო 0:1 | 0 | | 4 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ყუბანი 1:1 | 90 | | 9 | 5 | 1 |
| | რუბინი | ს | დინამო 0:1 | 90 | | 10 | 5 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ვოლგარი 2:1 | 89 | შეცვალეს | 9 | 1 | 10 |
| | ლოკომოტივი | ს | ამკარი 1:1 | 90 | 1 გოლი | 10 | 2 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | ასკ-ენერგია 1:3 | 0 | | 4 | 1 | 18 |
| | ვორონეჟი | შ | ყუბანი 0:1 | 0 | | 4 | 1 | 18 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკ როსტოვი | შ | ლადა 1:1 | 0 | | 4 | 0 | 15 |
| | ასკ როსტოვი | შ | მეტალურგი 3:1 | 0 | | 4 | 0 | 14 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ მწუხარებას გამოთქვამს კლუბის ყოფილი ფეხბურთელის თორნიკე რუხაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ყოფილ თბილისის დინამოელ ილია რუხაძეს ვაჟის თორნიკე რუხაძის გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი თორნიკე რუხაძე



გიორგი კოპოლაძის ფოტო

ალექსანდრ ვოლკოვმა ძველ მეგობარს ნიკოლოზ დერიუგინს
უკრაინის კალათბურთის ფედერაციისგან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა

# ნოსტალგია თბილისსა და NBA-ზე
## ვოლკოვი მინისტრად არ ათამაშეს

*ამ უქმეებზე თბილისში დიდი სტუმრიანობა იყო. 80-იანი წლების საბჭოთა და ევროპული კალათბურთის ვარსკვლავები ნიკოლოზ დერიუგინს სპორტიდან აცილებდნენ.*

*ბევრ ღირსეულ წვეულთან ერთად, დერიუგინი დააფასა უკრაინის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა ალექსანდრ ვოლკოვმა, მეტოქემ კიევის „სტროიტელიდან“ და თანაგუნდელმა საბჭოთა კავშირის ნაკრებში.*

*ვოლკოვი, ლიტველ შარუნას მარჩულიონისთან ერთად, პირველი საბჭოელი იყო, რომელმაც ამერიკის პროფესიულ ლიგაში შედგა ფეხი. მასთან საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ.*

**— თქვენ პირველთაგანი იყავით საბჭოთა კავშირიდან, ნბა-ში რომ წახვედით. იმ პერიოდში ეს რთული იყო...**

— ეს 1989 წელს მოხდა, გაგანია პერესტროიკის პერიოდში, როცა საბჭოური რეჟიმი მნიშვნელოვნად შერბილდა. ცოტა ადრე ეს წარმოუდგენელი იყო. ამერიკაში რომ ჩავედი, იქ უკვე თამაშობდნენ საბჭოელი ჰოკეისტები.

**— როგორ მოხდა თქვენი ოკეანგაღმა გამგზავრება, ამერიკელებმა სად გნახეს?**

— სეულის ოლიმპიადაზე, თუმცა მანამდეც მიცნობდნენ. წინასწარი მოლაპარაკება მქონდა „ატლანტა ჰოქსთან“, მათ ჩემს შესახებ ყველაფერი იცოდნენ და დრაფტიდან ამიყვანეს.

**— დრაფტის რომელი ნომერი იყავით?**

— მაშინ დრაფტი სხვაგვარად, რამდენიმე რაუნდად იმართებოდა და პირველ წრეებში მხოლოდ ამერიკელებს ირჩევდნენ. ევროპელები სულ ბოლოსთვის ჰყავდათ მოტოვებული და თუ ვინმეს აირჩევდნენ, ისიც ყოველი შემთხვევისთვის. არავის სჯეროდა, ამერიკელთა გარდა სხვასაც თუ შეეძლო ნბა-ში თამაში.

**— სწორედ იმ დროს „ატლანტა ჰოქსმა“ ტურნე მოაწყო საბჭოთა კავშირში. მაშინ ხომ არ მოხდა თქვენი დაკავშირება.**

— „ჰოქსის“ ხელმძღვანელობასთან მანამდეც მქონდა მოლაპარაკება, თუმცა ჩემი აყვანა მათ სწორედ მოსკოვში გადაწყვიტეს, როცა ბოლო მატჩში მათ წინააღმდეგ კარგად ვითამაშე.

**— როგორ წაგივიდათ ნბა-ში თამაში? შეაფასეთ იქ გატარებული წლები.**

— ამერიკაში სამი სეზონი ვითამაშე. რომ ვთქვა, გამიჭირდა-მეთქი, სწორი არ იქნება. საბჭოთა და ამერიკულ ლიგებს შორის უზარმაზარი განსხვავება კი იყო, მაგრამ ვთვლი, რომ თავი არ შემირცხვენია. ოღონდ ეგაა, ჩემი თამაში საბჭოთა კავშირში ბევრს მოსწონდა, ამერიკაში კი ასეთები თითებზე დაითვლებოდა. იქ აქცენტი ძალისმიერ თამაშზე იყო გადატანილი. ფარქვეშ თამაში, თუ ფიზიკური მონაცემები ხელს არ გიწყობდა, ანაც დიდი ხნის გამოცდილება არ გიმაგრებდა ზურგს, უაზრობა იყო. ჩემი კოზირი სროლა და სწრაფი გარღვევები გახლდათ. „ატლანტა“ ხშირად მიხეირებია.

**— მაშ, რატომ არ გააგრძელეთ იქ თამაში?**

— სწორედ მაგას მივიჩნევ მიუტევებელ შეცდომად. ბოლო წელს ხუთეულშიც ვთამაშობდი და კონტრაქტის გახანგრძლივებაც შემომთავაზეს, მაგრამ, არ ვიცი რატომ, წინადადება, რომელზეც თითქმის ყველა ევროპელი ოცნებობდა, უარვყავი. რატომღაც ჩავთვალე, რომ ნბა სხვა გარემო იყო ჩემთვის, რომ იქ ჩემს თამაშს ნაკლები ხიბლი ჰქონდა და შევცდი, ევროპაში წამოვედი. ჩემთან ერთად იქ მოხვედრილმა შარუნას მარჩულიონისმა კი სწორი გზა აირჩია, ნბა-ში დარჩა და სახელი და ხეირიც ნახა.

**— ევროპამ როგორ მიგიღოთ?**

— იტალიურ „რეჯიო კალაბრიაში“ გადავედი, შემდეგ ბერძნულ „პანათინაიკოსში“ ვითამაშე, მერე იყო „ოლიმპიაკოსი“ და კარიერაც დავასრულე. ამ გუნდებში სისტემატურად ხუთეულში ვიყავი და ლიდერადაც ვითვლებოდი, მაგრამ ამ წლებს ამერიკაში, უფრო კი საბჭოთა კავშირში გატარებულ წლებს ვერც კი შევადარებ.

**— რომელი იყო თქვენი კარიერის ოქროს ხანა? სად გრძნობდით თავს ბედნიერად და ნამდვილ კალათბურთელად?**

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. კიევის „სტროიტელში“ გატარებული წლები ჩემთვის საუკეთესო იყო. „სტროიტელს“ უკავშირდება ჩემი კალათბურთელად ჩამოყალიბება და პირველი წარმატებები. სწორედ იქ გამიცნო ხალხმა, იქ ვიქეცი მოთამაშედ.

**— მაშინ ის დრო გავიხსენოთ. თბილისის „დინამოც“ ხომ ღირსეული შვილი იყო იმ დროის საკალათბურთო ოჯახისა. თბილისშიც, ალბათ, დიდი ხანია, არ ყოფილხართ.**

— უდიდესმა ნოსტალგიამ შემიპყრო, როცა თქვენს ქალაქს კვლავ ვეწვიე. თბილისი მუდამ გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, მხურვალე ქომაგობით და, რა თქმა უნდა, საკალათბურთო გუნდით. „დინამო“ ყველა დანარჩენი გუნდებისგან განსხვავდებოდა. მასთან თამაში ყოველთვის რთული იყო, მაშინაც, როცა „სტროიტელში“ ვიყავი და მაშინაც, ცსკა-ში რომ ვთამაშობდი. არაჩვეულებრივი კალათბურთელები გყავდათ ნიკოლოზ დერიუგინით დაწყებული, გელა დარსაძით დამთავრებული. „დინამოსთან“ შეხვედრებს მუდამ დრამატიზმი სდევდა.

**— რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— აბა, რა გითხრათ, მეც იმას ვიტყვი, რაზეც ხშირად საუბრობენ და ამ დღეებშიც არაერთხელ გაიხსენეს. თბილისში თამაშს ისიც ამძიმებდა, რომ ხშირად მსაჯები თუ სამდივნო „დინამოს“ სასარგებლოდ ცდებოდნენ ხოლმე, უკუღმა დატრიალებული წამზომიც ხომ ყველას გვინახავს.

**— კარიერის დამთავრების შემდეგ კალათბურთიდან პოლიტიკაში აღმოჩნდით. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფო მოხელეც ისეთივე წარმატებული იყავით, როგორიც კალათბურთელი?**

— ვერ ვიტყვი, რადგან სპორტის მინისტრობა არ დამცალდა. ამ თანამდებობაზე რომ დავინიშნე, ექვს თვეში ხელისუფლება შეიცვალა და საქმეს ჩამომაშორეს.

**— ახლა კი ისევ კალათბურთში ხართ...**

— „ბკ კიევის“ პრეზიდენტი ვარ. წლეულს ქვეყნის ჩემპიონები გავხდით და ევროპულ სარბიელზეც ვაპირებთ სიტყვის თქმას. შემოვიკრიბე ჩემი თაობის ვარსკვლავები, რომლებიც ევროპული დონის კლუბის ჩამოყალიბებაში მეხმარებიან. რიმას კურტინაიტისის და იგორს მიგლინიეკსის გამოცდილება ბევრ სიკეთეს მოუტანს როგორც ნაცად კალათბურთელებს, ისე დამწყებებსაც. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი კი ახალი თაობის სათანადო აღზრდაა. ჩვენს კლუბს ბავშვთა მოზრდილი სკოლა აქვს.

**— „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ ახალგაზრდა უკრაინელი თამაშობს...**

— ანდრეი მედვედენკო ჩვენი სკოლის გამოზრდილია. მის „ლეიკერსში“ გადასვლას უშუალოდ ვხელმძღვანელობდი. მედვედენკოსნაირები ჩვენთან კიდევ ბევრნი იზრდებიან. ვფიქრობ, აქცენტი ყოველთვის ახალ თაობაზე უნდა კეთდებოდეს, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში.

**— თქვენი შვილები თუ მისდევენ კალათბურთს?**

— ორი ქალიშვილი მყავს. პატარას ძალიან უყვარს კალათბურთი და თამაშობს კიდეც.

**ირაკლი ბერტაია**

## 2002 NBA FINALS

# ენაჭარტალობის წინააღმდეგ
## ბაირონ სკოტმა ქილა ერბო აიკიდა

**კაცი ვერ გაიგებს,** კარგადა აქვს „ნიუ ჯერსი ნეთსს“ საქმე თუ ცუდად. შეიძლება ითქვას, ასეც და ისეც, ანაც — არც ასე და არც ისე. სეზონის დაწყებამდე ნიუჯერსელთათვის ვინმეს რომ ეთქვა, აღმოსავლეთ კონფერენციაში რეგულარულ ჩემპიონატშიც გაიმარჯვებთ და პლეი ოფშიცო, ისინი სიცილს დააყრიდნენ, მაგრამ ახლა, როცა ასე მოხდა, ცხადია, კმაყოფილები არიან და... არც არიან. ისინი ხომ 0:3 აგებენ ფინალში. ახლა ნიუჯერსელები ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ზარმაც კმაყოფილებას არ განიცდიან და სურთ, თავიანთი პირველი ფინალი თუნდაც ერთი გამარჯვებით, რაც მთლიანობაში 1:4 მარცხს ნიშნავს, მაინც დაამშვენონ. ისიც მშვენივრად იციან, რომ 0:3 ანგარიშიდან ჩემპიონობაზე ფიქრი სრული უაზრობაა. ნბა-ს ფინალების ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, პირველი სამი თამაშის წამგებ გუნდს შემდეგი ოთხი მოეგოს. ისინი მხოლოდ ერთი მატჩის მოგებას ეშურებიან.

„ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ ჩემპიონობა დაკარგული გვაქვს. აქ მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს გუნდ „ლეიკერსთან“ ერთად ისტორიაც ჩვენს წინააღმდეგაა, მაგრამ, ვფიქრობ, ერთი თამაშის მოგება კი შეგვიძლია. ჩვენ გვაქვს ბოლო შანსი, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ“ — ამბობს „ნიუ ჯერსის“ ენაჭარტალა თავკაცი ბაირონ სკოტი. დაახლოებით ამასვე ამბობდა ეს კაცი ფინალის დაწყების წინ, მხოლოდ სიტყვა თამაშის ნაცვლად სერიას ხმარობდა და იმუქრებოდა, ფინალს აუცილებლად მოვიგებთო. სკოტის ქადილი ბნელ ოთახში მოხვედრილი შეშინებული კაცის აგრესიულ ყვირილს ჰგავს. იგი თავს იმხნევებს და შეგირდებსაც ამხნევებს, მათ ხომ თანამედროვეობის უძლიერეს გუნდთან ჭიდილი უწევთ.

აქ ისმის კითხვა, დღევანდელი „ლეიკერსი“ თანამედროვეობასთან ერთად ყველა დროის უძლიერესი გუნდი ხომ არაა? ბაირონ სკოტმა მეტოქეს ეს პირობითი ტიტულიც მიანიჭა, არადა, მას უთამაშია ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში, 80-იანი წლების „ლეიკერსში“ მეჯიქ ჯონსონთან, ქარიმ აბდულ-ჯაბართან და ჯეიმს ვორსისთან ერთად, სახელოვანი პატ რაილის ხელმძღვანელობით, რამდენჯერმე ჩემპიონიც გამხდარა და ამდენად შეუძლია, გარკვეული პარალელების გავლება.

ამასობაში კი სტატისტიკაზე შეშლილი ამერიკელები ციფრების საშუალებით ცდილობენ თანამედროვე „ლეიკერსს“ ნბა-ს ისტორიის კიბეზე მიუჩინონ გარკვეული ადგილი. „ლეიკერსს“ წვრთნის აგერ, მეცხრე ჩემპიონობადაბევებული და ამ მხრივ რეკორდის გამმეორებელი კაცი, ფილ ჯეკსონი. „ლეიკერსს“ სერია არ წაუგია ბოლო სამი წლის განმავლობაში. გუნდმა ამ ხანში მოუგო ყველა აღმოსავლელ თუ დასავლელ ბობოლას, უმეტესობას ერთი ხელის გაქნევით. „ლეიკერსმა“ შარშან პლეი ოფში მოიგო 15, წააგო ერთადერთი თამაში და დაამყარა ყველა დროის რეკორდი. დაბოლოს, ამ გუნდს ჰყავს შაკილ ონილი.

მცოდნე ხალხი ახლა დავობს, განსვენებული უილტ ჩემბერლენია ყველა დროის უდიდესი ცენტრი თუ შაკი. და მოდავეთა არცთუ მცირე ნაწილი შაკს აძლევს უპირატესობას. არც შაკს და არც უილტს მოეძებნებოდა ტოლძალოვანი მეურვე. თავის დროზე ორივემ შეცვალა ამერიკული კალათბურთის წესები. ჩემბერლენი იმდენად სჯობდა დანარჩენებს, რომ მისი თარეშის ოდნავ მაინც შესაზღუდად ნბა-მ სამი წამის წესი მოიგონა. ასევეა შაკიც. მის გამო დაუშვა ნბა-მ ზონური დაცვა. რაც შეეხება უპირატესობას, შაკი იმითაა ჩემბერლენზე ძლიერი, რომ თავის გუნდს ჩემპიონობას ჩემპიონობაზე ახვეჭინებს, ხოლო ჩემბერლენის გუნდები დაუმარცხებლები არ იყვნენ.

შაკილ ონილსაც აქვს მინუსები. მათ შორის უმთავრესს ის თავად ვერაფერს მოუხერხებს. მისი ნაკლი ისაა, რომ ღირსეული კონკურენტები არა ჰყავს. ონილის ნიჭი სრულად როცა გაიფურჩქნა, ოლაჯუონმა, რობინსონმა და იუინგმა ლამის 40 წელს უწიეს.

სხვათა შორის, შაკს ყველაზე დიდი იმედგაცრუება ამ სამი გიგანტიდან ერთ-ერთმა, ჰაკიმ ოლაჯუონმა შეამთხვია. ონილი 24 წლისა იყო, როცა 1995 წელს „ორლანდო“ ფინალში გაიყვანა, იქ კი ბრძენი ჰაკიმის „ჰიუსტონი“ დახვდა და 4:0 გაანადგურა. ვერ გეტყვით, დაიფიცა თუ არა, რომ მომავალში ვინმეს იგივეს დამართებდა, მაგრამ სადღეისოდ შაკს „ნიუ ჯერსის“ სწორედ 4:0 მოსაზრჩობად შეუმართავს მძიმე მარჯვენა. ის „ნეთსთან“ ყოველ მატჩში საშუალოდ 37 ქულას აგროვებს, „ნეთსის“ მწვრთნელი, ოდესღაც ლეიკერსელი ბაირონ სკოტი კი ტრაბახობს, მაგარი გუნდი მყავს და მოვიგებთო. შაკი ჩვენებური რომ იყოს, ეტყოდა, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ანაც აბანოში გამოჩნდებაო

**ირაკლი ფირცხალავა**



შაკილ ონილი ფინალური სერიის გასრულებამდეც მშვენიერ ხასიათზეა

# ბალახობა დაიწყო

## პიტ სამპრასმა ქუინზ კლაბი დაიგინა



გამარჯვებულმა მარკ ფილიპუსისმა თავისებურად იხუმრა

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**

**ადრიან ვოინეა (13, რუმინეთი)** — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:4; **ოლივიე როშუ (ბელგია)** — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 2:6, 7:6 (9:7), 6:4; **მაიკ ბრაიანი (აშშ)** — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ტოდ მარტინი (9, აშშ)** — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 6:7 (6:8), 7:6 (8:6); **ვინს სპადეა (აშშ)** — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:5; **ჟან-მაიკლ გემბილი (12, აშშ)** — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:5, 6:3

**მეორე წრე**

**მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** — გრეგ რუზედსკი (6, ბრიტანეთი) 6:7 (1:7), 7:6 (7:3), 7:6 (7:5); **ქსავიე მალისი (8, ბელგია)** — სისილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:2

საუიმბლდონოდ შესახურებელი ამ ტურნირის 24-წლოვან ისტორიას ვერაფერი რამე არ ახსოვს, რომ სტუმრებს ხუთი შინაური მეჩოგნე პირველი მატჩებიდანვე დაეფრინოთ. ვერაფერს იზამ — ბრიტანელებთან ერთად აწი ეს ამბავი ჩვენც გვეხსომება!

ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისის მიერ ძლეული გრეგ რუზედსკი სწორედ ის მეხუთე ბრიტანელი გამოდგა, ვისაც ჩოგანი ასე ნაადრევად დაამალითებინეს. კუნძულელთა ერთადერთ იმედად ტიმ ჰენმანიღა რჩება, ვისაც გრეგის დარად საპირველწრეო დასვენების უფლება მიეცა.

რუზედსკიმდე ქუინზკლაბური თასის იქვე დატოვების შანსი მიჯრით დაჰკარგეს ერვინდ პარმერმა, ჯეიმი დელგადომ, მარტინ ლიმ და ალექს ბოგდანოვიჩმა.

თავად გრეგისა და მისი მძლავრად მოხათქუნე მძლეველის სამტაიბრეიკიანი შეხვედრა კი მართლაც კარგი რამ სანახავი იყო. თუმცა ქომაგი ბურთისთვის თვალი მიდევნებას ძლივს ასწრებდა — ფილიპუსისი და რუზედსკი ხომ უცქაფესი ჩამწოდებლები არიან.

ავსტრალიელს, ვინაც წინა დღეს ერთი ბრიტის, მარტინ ლის მოწელება უკვე შეძლო და უიმბლდონის ორგანიზატორებისგან საგანგებო საშვიც მიისაჩუქრა, წაგებული სეტის მერე ორის უკუგება მოუხდა. ანგარიშის მიხედვითაც ხედავთ, ეს საქმე მაინცდამაინც იოლად არ გამოსვლია.

ისე, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კისრის ტრავმის გამო რუზედსკის ამ მატჩამდე 5 კვირის განმავლობაში არ ეთამაშა...

პირველსავე წრეში დამარცხდა ფრანგთა პატარა უფლისწული რიშარ გასკე წინა კვირას როლან გაროსზე შემოკრებილ იუნიორთა შორის გაყოჩებულმა სამხრეთ აფრიკელ ნევილ გოდვინთან წააგო 6:7 (4:7), 7:5, 3:6. ეს ჩემი პირველი „საბალახო" მატჩი იყოო, იძახდა მერე.

სხვათა შორის, მასთან ერთად ტურნირს ხუთი ფრანგი — მიშელ ლოდრა, გრეგორი კარა, ნიკოლა კუტელო, სედრიკ პიოლინი და ჟან-ფრანსუა ბაშელო — გამოაკლდა.

**GERRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**

**ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი)** — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:2; **ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი)** — აქსელ პრეჰი (გერმანია) 7:6 (7:4), 6:0; **პიტ სამპრასი (4, აშშ)** — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 4:6, 6:3, 6:4; **რაინერ შუტლერი (გერმანია)** — ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) 6:3, 6:2; **კენეტ კარლსენი (დანია)** — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:1, 4:6, 6:1; **შტეფან კუბეკი (ავსტრია)** — კარლოს მოია (7, ესპანეთი) 6:3, 6:3; **ანდრეი პაველი (რუმინეთი)** — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:4

შვიდგზის მეუიმბლდონე და ცამეტგზის მესლემტიტულე პიტ სამპრასი სეზონის სეფესაბალახო მოვლენისთვის მოსამზადებლად უკანასკნელი ცამეტი სეზონიდან თორმეტის განმავლობაში ქუინზკლაბურ ტურნირზე თამაშს არჩევდა. წლეულს პიტმა ნირი იცვალა და საუიმბლდონო სამზადისად ჰალეს სარბიელი გადაიწყვიტა.

ლონდონური ტურნირის ორგანიზატორი ან უაითი პიტის ამ გადაწყვეტილებას ალმფოთებითა და როყიო გამონათქვამებით შეეგება. ამ აღშფოთებულმა სერმა ისიც კი იკადრა, რომ სამპრასს „უფრო იოლად დასაძლევი მეტოქეების" არჩევაც დააბრალა.

ცხადია, პიტი ძალზედ განაწყენდა. არ მეგონა, თუკი ჩემი სურვილი, წლეულს რაიმე განსხვავებული განმეცადა, ასეთ ბინძურ ინტერპრეტირებას მიიღებდა და ამიერიდან ჩემდათავად ქუინზკლაბში ჩამსვლელისაცო — უაითის სიტყვების მომსმენს — აი, ეგრე განუცხადებია.

ხოლო ის, რომ ჰალეში პიტს იოლი გასეირნება სულაც არ ელის, პირველივე შეხვედრამ ცხადყო. მსოფლიოში 107-ე ჩოგნის მჭნეველ 25 წლის რუსთან პიტი სრულიად უხალისოდ და უღიმღამოდ გაირჯა და გამარჯვება მხოლოდ სამი სეტის ჯამში მიითვალა.

„ბალახზე დაბრუნება ძალიან მიხარია — ამბობდა მერე — წლეულს ხომ საშინელი სათიხნარე სეზონი მქონდა. ჰალეში პირველად ვარ და ისე ჩანს, რომ აქაური ქომაგები უაღრესად კეთილგანწყობილნი არიან ჩემდამი. ხოლო როცა ამდენი ათასი ადამიანი გქომაგობს, უჯიგროდ თამაში უხერხულიცაა. მომდევნო შეხვედრებში შევეცდები, მათ დამუხტულობას ავყვე და უფრო ენერგიულად ვითამაშო".

ჩვენი მხრით კი იმას დავსძენთ, რომ ჰალეურ სეფეკორტს მოძრავი სახურავი აქვს და ბრიტანული ბალახსაფრებისგან განსხვავებით წვიმიანობისასაც დასტურ მყუდრო საჩოგნეა.

სხვაფრივ — იმ დღეს ორი სენსაციაც მოხდა. მეხუთე ნომრად განთესილმა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა გერმანელ რაინერ შუტლერთან დათმო, მეშვიდე ნომრად განსაზღვრული კარლოს მოია კი ავსტრიელმა შტეფან კუბეკმა აოტა.

თავიანთი პირველი საბალახო მატჩები წარმატებით ჩაითამაშეს წლევანდელმა მეავსტრალიემ და შარშანდელმა გამარჯვებულმა ტომას იოჰანსონმა და ჰალეს ორგზის (1997, 1998) ჩემპიონმა ევგენი კაფელნიკოვმა.

**VIENNA GRAND PRIX**
ვენა. თიხნარი
საპრიზო 170 ათასი $

**პირველი წრე**

**ანა სმაშნოვა (4, ისრაელი)** — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:2, 6:2; **პატი შნიდერი (5, შვეიცარია)** — მარტინა სუჰა (სლოვაკეთი) 6:2, 5:7, 6:2; **კრისტინა ტორენს ვალერო (7, ესპანეთი)** — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:6 (7:4), 7:5; **ჰენრიეტა ნაგიოვა (8, სლოვაკეთი)** — მარტა მარერო (ესპანეთი) 2:6, 6:4, 7:6 (7:4); **კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)** — დანიელა კიქსი (ავსტრია) 7:5, 6:1

**EDGBASTON OPEN**
ბირმინგემი. ბალახი
საპრიზო 170 ათასი $

**პირველი წრე**

**დაია ბედანოვა (9, ჩეხეთი)** — საორი ობატა (იაპონია) 6:4, 7:6 (7:4); **ალექსანდრა სტივენსონი (10, აშშ)** — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:2, 7:6 (7:3); **აი სუგიამა (11, იაპონია)** — სვეტლანა კრივენჩევა (ბულგარია) 6:2, 6:1; **მაგი სერნა (13, ესპანეთი)** — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:1, 6:3; **ნიკოლ პრატი (14, ავსტრალია)** — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:1, 3:6, 6:0; **ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი)** — ელს კალენსი (ბელგია) 6:2, 6:2

**ტაშკენტის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 140 ათასი $

თუკი ამ ისე-რა ტურნირზე ორი სიტყვის თქმა გადაწყდა, ეგ მხოლოდ იმის გამო, რომ მასზე მოჩოგნავე დინარა საფინამ, ვინაც მარატის უმცროსი დაიკოა და დაბადების დღიდან 16 წელს მოითვლის, პირველ წრეში ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილ ჰოლანდიელ სედა ნოორლანდერს სძლია. გამოცდილ მეტოქეს მან უძლავრესი ჩაწოდებებითა და ჩოგანუმცდარი ნაუკანახაზევო დარტყმებით აჯობა.

დინარა წლეულს თავის მესამე საWTA-ო ტურნირზე გამოდის. მეორე წრეში იგი უკრაინელ ტატიანა პერებიინისს შეხვდება, ვინაც თავის მხრივ რუსი გალინა ფოკინა ჩამოიცილა — 6:4, 6:2.

ისე კი, აქეთ 35-გრადუსიან სიცხეს, იქით კიდევ მეტოქეთა მიძალებას ვერ გაუძლეს და მიყოლებით გაიმასპინძლნენ მეხუთე ნომრად განთესილი ავსტრალიელი ევი დომინიკოვიჩის, მეექვსე ჩოგნის მქონე კოლუმბიელი ფაბიოლა სულუაგა და მერვედ ნომრად გამწესებული მილაგროს სეკერა. ამათ მძლეველთა სახელები და გვარები არაფერს გეტყვით და ამიტომაც არ გახლებთ, თუმცა დარწმუნებული არც იმაში ვართ, თავად ამათი ვინაობის შეტყობინებას თუ დაგვიმადლით.

# ვისი სადღეგრძელოა? დედმამიშვილების!

**წლევანდელმა** საროლანგაროსო შერკინებებმა კაცთა და ქალთა მსოფლიო რეიტინგსიებში რამდენიმე საყურადღებო ცვლილება გამოიწვია.

ცხადზე უცხადესია, რომ ცვლილებები უწინარესად ტურნირზე ნახეირებთა პოზიციებს შეეხო. ასე, მაგალითად — და ამას წინა კვირაშიც გაუწყებდით — შავდა უილიამსებმა, ვინუსმა და სერენამ, რომელთაც შაბათს მრავალმხრივ ისტორიული შიდაღური ფინალი გაითამაშეს, სიაში თითო-თითო საფეხურით წაიწიეს და, რაღაი აქამდე მეორე და მესამე საფეხურები ეპყრათ, უპირველეს ადგილებზე დამკვიდრდნენ.

აღსრულდა მამა რიჩის ოცნება, ჯერ კიდევ თავისი გოგოცუნების საჩოგბურთო გარიჟრაჟზე რომ იქადნიდა მათ გაპირველებას...

ჩვენ კი დღემდე ბარე უკვე ორჯერ გვითქვამს და ახლაც სიამოვნებით გავიმესამებთ, რომ ამ უნიჭიერეს და უჯანოვანეს შავგოგოებამდე არც ერთ მედედმამიშვილე წყვილს არ მოხერხებია იმის გაკეთება, რომ კაცთა თუ ქალთა რეიტინგსიის პირველ-მეორე საფეხურები დაეკავებინა.

კაცთა ორივე კლასიფიკაციაში — 12-თვიან მცოცავ რეიტინგსა და ჩემპიონთა რბოლაში ზორბა ნახტომი გააკეთა ხვალთა შორის გამარჯვებულმა ალბერტ კოსტამ, რომელიც კარიერის პირველმა სლემტიტულმა პირველგან 14 ადგილით ალაზევა და მსოფლიოს პირადსარეკორდო მე-8 ჩოგანიც მოუნაგრა, ხოლო მეორეგან მეთოთხმეტე საფეხურიდან სულაც მეორემდე ააცოცა.

თუმცა ჯერ მაინც ქალებისა დავამთავროთ.

2 ადგილით ზეაიწია და მეექვსე ადგილი მეოთხეზე გადაცვალა მონიკა სელეშმა, რომელსაც თავის მორიგ პარიზულ მეოთხედფინალში თამაში დაუფასდა. ოდნავ დაქვეითდნენ ბელგიელები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენი. ტურნირამდე ისინი ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდნენ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო მეორემ პირველსავე წრეში დათმო, პირველი კი მესამე წრიდან დაითხოვეს.

ოცეულში შეიჭრა და მე-18 ადგილი მიითვისა შვეიცარიელმა პატი შნიდერმა, ვინაც იქაურ თიხნარზე მეოთხე წრემდე გაატანა.

და ისევ კაცებზე:

კოსტას მერე ყველაზე თვალშისაცემად საგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელმა, შარშანდელმა ჩემპიონმა და იმავ კოსტასგან მეოთხე წრეში ძლეულმა გუსტავო კუერტენმა გადაინაცვლა — ოღონდ, ცხადია, საწინააღმდეგო მიმართულებით. რაღაი გუგამ ტიტულის შენარჩუნება ვერ მოახერხა, ბითუმად უამრავი ქულა მოისაკლისა და ადრინდელი მეშვიდედან ამჟამინდელ მეთექვსმეტემდე ჩასრიალდა.

სხვაფრივ — ათეულს დაუბრუნდა ხუან კარლოს ფერერო, რომელსაც მეთერთმეტედან მეცხრე ადგილამდე ამაღლების საშუალება ფინალში თამაშმა მიუბოძა.

რაც შეეხება ჩემპიონთა რბოლას — კოსტასა და ფერეროს გარდა აქ აშკარად იხეირეს ოცეულში კადნიერად შევარდნილმა სებასტიან გროსჟანმა (მან მეოთხედფინალში ითამაშა), ალექს კორეჩამ, ვისაც სანახევროფინალო გარჯამ ერთბაშად 34-ადგილიანი ნახტომი გააკეთებინა, და მის მიერვე მეოთხედფინალში ძლეულმა ანდრეი პაველმა, რომელმაც სწორედ ამ მატჩის დროს შეძენილი ბიჭუნას სახელზე 29-დან მე-19 ადგილამდე ასვლა იკისრა.

**ლევან ძლაურაძე**



სერენა და ვინუს უილიამსებმა პირველ-მეორეზე გაითვალეს

**ვაჟები**

**12-თვიანი მცოცავი რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 4395 |
| 2 (2) | მარატ საფინი (რუსეთი) | 3310 |
| 3 (3) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 2995 |
| 4 (4) | ანდრე აგასი (აშშ) | 2725 |
| 5 (6) | ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) | 2605 |
| 6 (5) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2460 |
| 7 (9) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 2305 |
| 8 (22) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 2290 |
| 9 (11) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2205 |
| 10 (8) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2135 |
| 11 (10) | სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 2020 |
| 12 (13) | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 1915 |
| 13 (12) | პიტ სამპრასი (აშშ) | 1910 |
| 14 (15) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1875 |
| 15 (14) | ენდი როდიკი (აშშ) | 1825 |
| 16 (7) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1765 |
| 17 (17) | გილერმო კანასი (არგენტინა) | 1720 |
| 18 (16) | გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1620 |
| 19 (18) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 1615 |
| 20 (19) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1485 |

**ჩემპიონთა რბოლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | მარატ საფინი (რუსეთი) | 390 |
| 2 (14) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 340 |
| 3 (4) | ანდრე აგასი (აშშ) | 325 |
| 4 (2) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 300 |
| 5 (3) | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 293 |
| 6 (14) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 280 |
| 7 (6) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 273 |
| 8 (7) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 271 |
| 9 (5) | ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) | 257 |
| 10 (8) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 254 |
| 11 (9) | ენდი როდიკი (აშშ) | 223 |
| 12 (10) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 217 |
| 13 (11) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 208 |
| 14 (17) | გილერმო კანასი (არგენტინა) | 186 |
| 15 (13) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 185 |
| 16 (22) | სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 169 |
| 17 (12) | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 161 |
| 18 (52) | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 154 |
| 19 (29) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 149 |
| 20 (20) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 143 |

**ქალები**

**12-თვიანი მცოცავი რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1 (2) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 5205 |
| 2 (3) | სერენა უილიამსი (აშშ) | 4926 |
| 3 (1) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 4131 |
| 4 (6) | მონიკა სელეში (აშშ) | 3744 |
| 5 (4) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3474 |
| 6 (7) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3350 |
| 7 (5) | ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 3286 |
| 8 (9) | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 3004 |
| 9 (8) | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2816 |
| 10 (10) | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 2181 |
| 11 (12) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1784 |
| 12 (13) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1691 |
| 13 (11) | სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1662 |
| 14 (15) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1545 |
| 15 (14) | მეგენ შონესი (აშშ) | 1402 |
| 16 (16) | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1304 |
| 17 (18) | იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) | 1276 |
| 18 (24) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1271 |
| 19 (20) | ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) | 1224 |
| 20 (17) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1213 |



**ახლახან თურქეთის ქალაქ კასტამონუში ჩატარდა ჭაბუკ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველოს ნაკრების მეტოქეები იყვნენ ჩეხეთის, შვედეთისა და თურქეთის გუნდები. ჩვენები სამივე შეხვედრაში დამარცხდნენ და ჯგუფში ბოლო ადგილზე დარჩნენ, პირველობა კი მოიპოვა ჩეხეთის ნაკრებმა, რომელიც ზაფხულის მიწურულს პოლონეთში ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს. თურქეთში ქართველთა გამოსვლაზე თავის მოსაზრებებს გვიზიარებს გუნდის მთავარი მწვრთნელი თამაზ ანთაძე**

# მინუს ორი ყვითელი და მინუს ოთხი წითელი უდრის მინუს 30-ს

**მკითხველი** ამ წერილის სათაურზე უთუოდ იკითხავს, ეს რა რებუსიაო და მართალიც იქნება. რებუსი კი ტრაგიკომიკური ხასიათისაა და მის ახსნას ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ხელბურთში ერთი-ორი სიტყვა მეც მეთქმის, წლოვანებაც ხელს მიწყობს — რომ იტყვიან, სიზმარიც დამეჯერება და ამიტომ თავს უფლებას მივცემ, კრიტიკული თვალით შევხედო არსებულ ვითარებას.

ჩვენი ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ მიმიწვია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელად ერთ შეჯიბრზე — გუნდი 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის უნდა მომემზადებინა. დიდად მადლობელი კი ვარ მიწვევისთვის, მაგრამ, როგორც გაირკვა, თურმე განტევების ვაცის როლი შემისრულებია და აი, რატომ: ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით, ნაკრების თავკაცობა არავინ იკისრა, ალბათ, კლუბებსა და ასოციაციას შორის განუწყვეტელი კონფლიქტის გამო. ამ პოსტის კანდიდატი სამი მწვრთნელი ამჟამად გერმანიაშია საკვალიფიკაციო კურსებზე, სხვა პრეტენდენტებმა კი მტკიცე უარი განაცხადეს და ბოლოს მე შემომთავაზეს მწვრთნელობა.

ეს ასპარეზობა კენჭისყრით საქართველოში უნდა ჩატარებულიყო. სტუმართა სამი გუნდისა და მსაჯების ხუთი დღით თბილისში მიღება-დაბინავება დაახლოებით 40 000 ლარი დაგვიჯდებოდა. მართალია, არცთუ კატასტროფული თანხაა, მაგრამ ჩვენთვის ესეც ფანტასტიკის სფეროდან იყო. დრო თვალსა და ხელს შუა ილეოდა, ფული კი, დაპირების მიუხედავად, არსად ჩანდა. გვიშველა... მიწისძვრამ. ერთმა საქმეში ჩახედულმა კაცმა გვირჩია, ბუნების განრისხება მოვიმიზეზოთ და უარი ვთქვათ შეჯიბრების მასპინძლობაზეო. ასეც მოვიქეცით: ვაფრინეთ წერილი ევროპის ფედერაციაში და სასურველმა პასუხმაც არ დააყოვნა. ტურნირის ჩატარება თურქეთმა ითავა, თანაც დიდი სიხარულითაც, რადგან ასეთი დონის ასპარეზობის გამართვა ყველა ქვეყნისთვის პრესტიჟულიცაა და სპორტული თვალსაზრისით დიდად სასარგებლოც, ეტყობა, საქართველოს გარდა.

თურქეთი ჩვენი მეზობელია და ავტობუსით 1500-კილომეტრიან გზას დავადექით კასტამონუსკენ. გზაში ორდღიანი წვალების დეტალებით თავს არ შეგაწყენთ. თუკი ვინმეს მსგავსი რამ გამოუცდია, ეცოდინება, როგორია ორი ღამე ავტობუსში ძილი და მერე სათამაშოდ გასვლა.

მგზავრობის თანხა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა გაიღო, კონცერნ „შევრონის" წარმომადგენლობის მიერ მოცემული ფულით სპორტული ფეხსაცმელი შევიძინეთ, მშობლიური ხელბურთის ასოციაცია კი სათამაშო ფორმით უზრუნველყოფას შეგვპირდა, მაგრამ... ეს ფორმა, ევროპის ფედერაციის მიერ ნაჩუქარი, საწყობში იდო და ახლაც იქ დევს... დანაპირების მისაღებად ასოციაციის ხელმძღვანელობას გამგზავრებამდე ოთხი დღით ადრე ისევ შევახსენეთ თავი, მაგრამ ჩვენთვის ჩვეული დღემეხვალეობით ვერ, უფრო სწორად კი „არ მოგვართვეს" და უკანასკნელ წუთს „გადაგვაგდეს"! ბარაქალა!!!

იძულებული გავხდით, საშეჯიბროდ აუცილებელი ატრიბუტი — ტრუსები და მაისურები (სპორტულ კოსტიუმებზე აღარაფერს ვამბობ) გვენათხოვრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდ „მამულისგან". კლუბის მწვრთნელმა რევაზ ჭანტურიამ, რაც გააჩნდა, ის მოგვცა — ათი ყვითელი და ამდენივე წითელი მაისურა.

ჰოდა, ასე მომარაგებულები მეორე დილით თურქეთს გავემგზავრეთ. სწორედ აქ იწყება თავდავიწყება, ანუ რებუსის ამოხსნა. საშეჯიბროდ დებულებით დაშვებულია 14 ხელბურთელი, მათ შორის ორი მეკარე. ესე იგი, უნდა გქონდეს ორი განსხვავებული ფერის თორმეტი იდენტურნომრიანი ფორმა. პირველ დღეს თურქებთან სათამაშოდ გავედით ყვითელი ფორმით, ოღონდ, თავიდანვე მინუს ორი უმაისურო მოთამაშით. მომდევნო შეხვედრაში შვედებთან წითლები გვეცვა, მაგრამ რადგან ორი წითელ-ყვითელი მაისურის ნომრები ერთმანეთს არ დაემთხვა, ორგანიზატორებმა კიდევ ორ ჩვენიანს არ დართეს თამაშის ნება. ერთი სიტყვით, შვედეთთან უკვე ოთხკაცნაკლულებმა ვითამაშეთ, შედეგად კი მივიღეთ მინუს 30-ბურთიანი წაგება. ამასთან, მატჩის მსვლელობისას ორმა ხელბურთელმა ტრავმა მიიღო (რაც, ბუნებრივია, დასაშვებია), ასე რომ, მატჩი დავასრულეთ ნახევრად შიშველი, ნახევრად მშიერი და ავტობუსში ორღამენათევი შვიდი მოთამაშით (რაც დასაშვებია... საქართველოსთვის).

ნაკრები დაკომპლექტებული იყო საქართველოს ჩემპიონ „შევარდენის", „მართვესა" და „მამულის" წევრებით, რომელთაგან უმეტესნი მეტოქეებზე, სულ ცოტა, ორი წლით უმცროსები არიან. თანაც ეს იყო ფაქტობრივად სრულიად ახალი გუნდი, რომელსაც მოსამზადებლად არც საკმაო დრო ჰქონია და არც ნორმალური პირობები. ბიჭებს მანამდე ერთად არსად ეთამაშათ, ერთი საკონტროლო შეხვედრაც არ გაუმართავთ, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სამივე მატჩში მარცხის მიუხედავად, ერთი სასიამოვნო ფაქტი მინდა აღვნიშნო — თურქებთან და ჩეხებთან ჩვენებმა ბრძოლისუნარიანობა და „ჯიგარი" გამოამჟღავნეს, ხსენებულ მიზეზთა გამო კი შვედებთან ხეირიანად შეწინააღმდეგება ვერ შევძელით. მასპინძლებთან თავიდან ოთხ ბურთს ვაგებდით, რამდენიმე წუთში კი ორბურთიანი სხვაობით დავწინაურდით, რაც იშვიათია ქართული გუნდებისთვის. ჩეხებთანაც კარგა ხანს სამ-ოთხ ბურთიანი უპირატესობა გვქონდა. სამწუხაროდ, ორივე თამაშის ბოლოს თავი იჩინა დაღლილობამ და გამოუცდელობამ. იმასაც ვიტყვი, რომ გამორჩეულად კარგად ითამაშა ჩვენმა მარჯვენა ფრთამ — უმცროსმა რევაზ ჭანტურიამ, რომელმაც თურქებს რვა გოლი გაუტანა, ჩეხებს — ცხრა (შვედებთან ტრავმის გამო არ უთამაშია). მის გარდა არის კიდევ რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელთაც სათანადო პირობებისა და ხელშეწყობის შემთხვევაში ძალა შესწევთ, ძველი სახელი დაუბრუნონ ქართულ ხელბურთს.

ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ასეთი მაღალი დონის ტურნირის მასპინძლობის აუცილებლობას. აღნიშნული შეჯიბრი თბილისში რომ გამართულიყო, სამივეს თუ არა, ორ თამაშს მაინც მოვიგებდით, მაყურებლებიც ბლომად გვეყოლებოდა და ჩვენში ხელბურთის აღმავლობისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა.

**თამაზ ანთაძე**



# საჭადრაკო ბორანი ვარნა—ბათუმი
## ხურციძე ევროპიდან მსოფლიოში

**საჭადრაკო** სიცხე არ იკლებს. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციისა (ფიდე) და ნომერ პირველი მოჭადრაკე გარი კასპაროვის ურთიერთობათა დაშაქვრა სულ უფრო საჩინო ხდება. მაშინ, როცა ელიტარული მოთამაშეების მოზრდილი ნაწილი ღია წერილებით აპროტესტებს პრაღაში დადებულ სამშვიდობო შეთანხმებას და ჭადრაკის გაერთიანების ახალ რეგლამენტს, კასპაროვი და კირსან ილუმჟინოვი, აგრეთვე რუსეთის სპორტის მინისტრი ვიაჩესლავ ფეტისოვი და რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ანდრეი სელივანოვი მოსკოვში შეხვდნენ და დაადგინეს მესამე „საუკუნის მატჩის" გამართვა, რომელშიც რუსეთი დანარჩენ მსოფლიოს შეეტოქება. ადრე, როცა საბჭოთა საჭადრაკო სკოლა მძვინვარებდა, ამგვარი მატჩები 1970 და 84 წლებში გაიმართა, ოღონდ მესამე ბრძოლა ბევრად მაღალ სიჩქარეებზე, ანუ სწრაფი ჭადრაკის წესებით ჩაივლის. მატჩი შემოდგომის რომელსამე თვეში უნდა შედგეს და 10 დაფის მისადგომებთან ყოფნაზე წინასწარი დასტური უკვე უთქვამთ კასპაროვს, კრამნიკს, ანანდს, კარპოვს, პონომარიოვს, ივანჩუკს, მოროზევიჩს და კიდევ სხვა ძლიერთა ამა საჭადრაკო ქვეყნისათა. მაგრამ იქამდე, უხეშად თუ ვიტყვით, ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი და ამ წერილში კი მივხედოთ დღევანდელობას.



ნინო ხურციძე

ევროპის საჭადრაკო კავშირის 3 წლის წინანდელი ინიციატივა კონტინენტზე ორივე სქესის მოჭადრაკეებისთვის პირადი და გუნდური ჩემპიონატების გამართვის შესახებ წარმატებით გალვივდა და ძლივს ვარნაში ქალთა პირველობა დასრულდა, რომ ახლა ევროვაჟებმა დაიწყეს ტვინის ვარჯიში. მათი სარბიელი გახლავთ ბათუმის პოპულარულქმნილი ჭადრაკის სასახლე, სადაც გუშინ ევროპის ვაჟთა მესამე პირველობა დაიწყო და 27 ივნისამდე გასტანს. თამაშობს 115 მოჭადრაკე და მათგან ზუსტად მეხუთედს ქართველები შეადგენენ. ყველა ქართველი ვაჟკაცი როდია, მაია ჩიბურდანიძე და ანა მათნაძე არამარტო თავისი ქვეყნის, არამედ სქესის ღირსებასაც დაიცავენ. მთავარი ქართველი დიდოსტატი, ზურაბ აზმაიფარაშვილი მოთამაშეებში არა და საპელაციო კომიტეტში ირიცხება, რომელსაც საჭადრაკო ევროკავშირის პრეზიდენტი ბორის კუტინი მეთაურობს. კენჭისყრის სამართლიანი წარმართვისთვის მოწვეულია ცნობილი რუსი არბიტრი ვლადიმირ დვორკოვიჩი და ბოლოს, ტურნირის მთავარი რეფერი გახლავთ ბელგიელი დოქტორი დირკ დე რიდერი. ეს იყო საწყისი დისპოზიცია, ჩვენს მომდევნო წერილებსაც გაუჯანჯლებლად იხილავთ, მანამდე კი ევროპელ ქალთა მე-3 ჩემპიონატს დავუსვათ წერტილი.

ვარნის ამბებზე საუბრისას გავჩერდით მე-8 ტურზე, როცა ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა ბდღვნიდა ყველას და 8 პარტიიდან 7 მოეგო 1 ყაიმთან ერთად. შემდეგ სტეფანოვა ცოტა დაოკდა და ბოლო 3 ტურში ყაიმებს დასჯერდა, მაგალითად, ნინო ხურციძესთან. ამ დროს მე-9 ტურში გაიმარჯვა რუსმა ეკატერინა კოვალევსკაიამ, იმისმა თანამემამულე ალისა გალიამოვამ ქეთევან არახამია-გრანტს მოუგო და იმავე ტურში წააგო მაია ლომინეიშვილმაც.

კოვალევსკაია სტეფანოვას 1 ქულამდე დაუახლოვდა და ფინიშამდე 2 ტური კიდევ რჩებოდა, მაგრამ ბოლოს მდევრები ერთმანეთს დაერივნენ და ამ დავაში უკანანი წინებზე ყოჩაღები გამოდგნენ. კერძოდ, მიკრობენეფისი მოიწყო სომეხმა ლილიტ მკრტჩიანმა, რომელმაც ჯერ შავებით რუს ტატიანა კოსინცევას მოუგო, მერე კოვალევსკაიასაც გაუსწორდა და სუფთა მეორე ადგილზე გავიდა, სტეფანოვასგან მხოლოდ ნახევარი ქულის სავალზე. მესამე-მეოთხე ადგილები გალიამოვამ და ჰოლანდიისთვის მოთამაშე ჩინელმა, ჟაოკინ პენკმა გაიყვეს და ტაიბრეიკში გალიამოვამ ორივე პარტიის მოგებით გაიფორმა ბრინჯაოს მედალი.

ბოლო ტურების უიღბლობამ ქართველები არამცთუ ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოაკლო, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ წასვლასაც წყალი შეუყენა. ხურციძე, არახამია-გრანტი და ლომინეიშვილი ერივნენ 7-ქულიან მოჭადრაკეთა იმ ფართო მასაში, რომელიც საპლანეტო დონეზე მოსახვედრ ზღვრულ მე-12 ადგილს ხურჯინივით გადაჰკიდებოდა. კერძოდ, ეს 7-ქულიანები მე-10-დან 23-ე ადგილის ჩათვლით იყვნენ განთავსებულნი და, ბუნებრივია, ტაიბრეიკები გაიმართა. ლომინეიშვილმა ჩეხ იანა იაკოვასთან ერთი წააგო და მეორედ ყაიმმა ვერ უშველა. შედეგის მიხედვით, არახამია-გრანტმაც ვერა წინააღმდეგობა გაუწია იუგოსლაველ ნატაშა ბოიკოვიჩს, მაგრამ ხურციძემ ერთობ ივარგა. მან გვარით კრაზანა რუსი ევგენია ოვოდი დაიფრინა 2 პარტიაში, მერე იმავე სცენარით უკრაინელ ინა გაპონენკოსაც წესი აუგო და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ჯერ ერთადერთი ქართველია, თუ, ცხადია, ილუმჟინოვი ძველებურად არ ინებებს და სახელოვან ქართველ მანდილოსნებს „გრინ კარდებს" არ გამოუგზავნის. ერთი მათგანი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ვარნაშიც თამაშობდა და არა ურიგოდ: რიგ კოხტა გამარჯვებათა შემდეგ მან ჯამური 5,5 ქულა დააგროვა.

**დავით ბულუა**

### ჯგუფური ტურნირის საბოლოო ვითარება

1. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 9; 2. ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი) 8,5; 3. ალისა გალიამოვა (რუსეთი) 8; 4. ჟაოკინ პენკი (ჰოლანდია) 8; 5-9. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), კორინა პეპტანი (რუმინეთი), სვეტლანა მატვეევა (რუსეთი), 7,5; 10-12. ნინო ხურციძე (საქართველო), ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია), იანა იაკოვა (ჩეხეთი) 7



# სტრაულიმ ტესტი ჩააბარა
## ეს რა კაცი გაგვიზრდია?!

8 ივნისი. ბლუმფონტეინი

**სამხრეთ აფრიკა 34:19 უელსი**

სამხრეთ აფრიკის მთავარმა მწვრთნელმა რუდი სტრაულიმ, ვისთვისაც ეს პირველი ოფიციალური მატჩი იყო „ქურციკების" სათავეში, ძირითად შემადგენლობაში ექვსი ის მორაგბე დააყენა, შარშან აფრიკელთა „ა" ნაკრებს თბილისში რომ ჩამოჰყვნენ.



სამხრეთაფრიკელმა ბრენტ რასელმა უელსელ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

იმ გუნდიდან უელსს დაუპირისპირდნენ რიკარდო ლუბშერი, მარიუს ჟუბერი, იოანეს კონრადი, უორენ ბრიცი, იანეს ლაბუსხანე, ფაან რაუტენბახი. ამათგან თითო ლელო ჟუბერმა და რაუტენბახმა გაიტანეს. ზანგმა კონრადმა კი იმდენი პასი არიგა, რაგბიზე მწერალმა აფრიკელმა ჟურნალისტებმა თქვეს, ბარე ოთხ მატჩს ეყოფოდაო. ვინც ბორჯღალოსანთა და სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრების მატჩი ნახა, უსათუოდ დაამახსოვრდებოდა ტანმორჩილი, ვერცხლისწყალივით მოძრავი და ტექნიკური კონრადი. აფრიკელმა კალმოსნებმა ისიც თქვეს, კონრადის სახით ახალი ფან დერ ვესტჰოიზენი გვეზრდებაო.



REUTERS

# მამალმა მოიწყინა



REUTERS

ჩინეთის ნაკრებმა ეგებ გოლიც ვერ გაიტანოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ გმირებად აღიარებული ბიჭები მაინც ანგელოზთა შორიახლოს იტრიალებენ ჩინელ გულშემატკივართა გულებში. მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს ხომ მთლად გვერდით მოისვამენ ეს კეთილი ანგელოზები. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ჩინელი მხატვარი.



REUTERS

კორეის მთავრობამ კი თავისი პატიმრებისთვისაც იზრუნა. სეულიდან ორმოციოდ მილით მოშორებულ იეჯუს ციხეში გუს ჰიდინკის შეგირდთა ორივე მატჩი იხილეს. მშვიდ პატიმართა და ბუდისტური სიმბოლიკის ერთობამ, რაც ნაცისტურ ნიშნად არ უნდა ჩავთვალოთ, კორეის ნაკრებს ხელი ნამდვილად არ შეუშალა.



REUTERS

დასამახსოვრებელი ფრანგი გულშემატკივარი კი, ნაპოლეონ ბონაპარტივით მოსილი, ფრანგთა და დანიელთა მატჩის წინ აუსტერლიცისებრ გამარჯვებას ითხოვდა და არა ვატერლოოსებრ მარცხს, თუმცა, ბოლოს თავადვე აღიარა, რომ ვატერლოო მიიღო. არანაკლებ დასამახსოვრებელ ფრანგსავე გულშემატკივარს გავა სამუდამო სვირინგით დაუმშვენებია: იცოცხლე და მოკვდიო. ესეც მიესადაგება ან ყოფილ მსოფლიო ჩემპიონთა თავგადასავალს. მოუწყენია ფრანგულ მამალსაც.







REUTERS

ბრაზილიელები კი ვარჯიშობენ. ჩვენგან ჯერაც უნახავი კაკა რონალდოს კეფაზე სალბუნს უსწორებს. რონალდოს კეფა მაგიდის ჩოგბურთის თამაშისას დაზიანებია. ასე რომ, ბრაზილიელთა ქომაგები მაინცდამაინც ნუ ინერვიულებენ.



REUTERS



REUTERS



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჩიანია
გიო აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge